ახალი განათლება

7 - 13 დეკემბერი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№37 (791) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ოხი მოზახდის განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის შესახებ, ჰამდენიმე დღეა, მთელი ქართველი საზოგადოება შეშფოთებული ლაპარაკობს. ოგორ მივედით ასეთ ცხაგედიამდე, ნღების ნინ ხომ „უსაფთხო სკოლის პროგრამამ“ შედარებით გაანეიტრალა სკოლებში შექმნილი ვითარება, ა შეიცვალა მას შემდეგ და ატომ – უარესობისკენ?

ამ კითხვებზე პასუხებს ეძებენ დარგის სპეციალისტები, ფსიქოლოგები, პოლიტიკოსები, ექსპერტები... ზოგს ა მიაჩნია მთავარ მიზეზად და ზოგს – ა, მაგრამ ის, რომ გარემო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, დაუნდობელი და აგრესიულია, არავისთვის საკამათო არ არის, მით უმეტეს, ჩვენი მკითხველისთვის. სულ ალაც ერთი თვის ნინ საბალხო დამცველის სკოლების მონიტორინგის შედეგები გამოვაქვეყნეთ. „მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა ოგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ძალადობის კუთხით“ – ნათქვამია ანგარიშში. თუმცა მასნავლებლების (მოსნავლეებისაც) დიდი უმრავლესობა ძალადობად სულაც არ მიიჩნევს მოზარდის სიტყვიერ შეურაცხყოფას, დამცირებას კლასის წინაშე, ცემას, თავში ნამორტყმას... ანგარიშში მოყვანილ ფაქტებზე კომენტარის გაკეთებისას, განათლების მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ „მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრი, მეორე წელია, მასნავლებლებისა და ადმინისტრაციის ნარმომადგენლებისთვის, დესტრუქციული ქცევის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებულ ტრენინგებს ატარებს.“ ასევე, მოქმედებს ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმი და „ყველა მოსნავლემ, რომლის სკოლაშიც არის მანდატურის სამსახური, ამავდროულად, ჰყავს კლასის დამრიგებელი, ზუსტად იცის, თუ ვის უნდა მიმართოს ძალადობის შემთხვევაში“. ეჭვი არ გვეპარება, რომ მექანიზმებიც შემუშავებულია და ტრენინგებიც ტარდება, მაგრამ მომხდარი ხომ (სხვა მიზეზებთან ერთად) მიღებული ზომების არაეფექტურობაზეც მეტყველებს. ხომ ფაქტია, რომ მოსნავლემ, რომელზეც ბულინგი განხორციელდა, არ იცის ვის მიმართოს ან იცის, მაგრამ, სამწუხაროდ, გულშემატკივარი (დამრიგებელი, მანდატური) სკოლაში არ ეგულება. თუმცა, არის კიდევ ერთი ფაქტორი, არც თუ უმნიშვნელო – როცა მოზარდი „ქუჩური გარჩევით“ საქმის მოგვარებას ანიჭებს უპირატესობას, ეს კიდევ ცალკე პრობლემაა, რომლის მოგვარებაზე, პირველ რიგში, განათლების სამინისტრომ უნდა იზრუნოს.

სკოლებში ძალადობა კომპლექსური პრობლემაა და კარგად გვესმის, რომ მარტო განათლების სისტემისთვის მისი გადაბრალება მხოლოდ თავის მოტყუებაა, მაგრამ ვფიქრობთ, პირველ რიგში, სწორედ ჩვენ, ამ სფეროში მომუშავე ადამიანები ვართ ვალდებულნი, ხარვეზები სისტემის შიგნით ვეძებოთ და ვიპოვოთ. დამნაშავეებს სამართალდამცავი ორგანოები მიხედავენ, იმედია, სამართლიანად, თორემ უსამართლო განაჩენის მაგალითებიც ბევრი ვიცით.

გამოფენა-კონფერენცია

იპოვეთ საკუთარი ადგილი არაფორმალურ განათლებაში

ლალი ჯელაძე

კოალიციის „განათლება ყველასათვის – საქართველოს“ ორგანიზებით, 1 დეკემბერს, ექსპო ჯორჯიაში, გამოფენა-კონფერენცია „სკოლა და არაფორმალური განათლება“ გაიმართა, რომლის მიზანი ზოგადი განათლების სფეროში არაფორმალური განათლების შესახებ გამოცდილების გაზიარება და სკოლებთან მომუშავე არაფორმალური განათლების მიმწოდებელთა პრაქტიკის გაცნობა იყო.

„დღევანდელი ღონისძიების მიზანი სკოლის ბაზაზე არაფორმარული განათლების პოპულარიზაციაა, – განაცხადა **ირინა ხანთაძემ**, კოალიცია „განათლება ყველასათვის – საქართველო“ გამგეობის თავმჯდომარემ – *ვფიქრობთ, რომ არაფორმალურ განათლებას შეიძლება ძალიან კარგი შემავსებელი ეფექტი ექნეს და კარგად დაშენდეს ფორმალური განათლების პროგრამებზე, რომელთა სწავლებაც სკოლებში მიმდინარეობს. ზოგადად, ამ თემაზე და იმ ღონისძიებებზე, რომელიც უკვე ხორციელდება სახელმწიფო თუ ცალკეული ინიციატივების დონეზე, უფრო მეტი უნდა ვისაუბროთ, შევაფასოთ და ვიზრუნოთ მათ განვითარებაზე. ეს ღონისძიებაც სწორედ ამას ემსახურება.“*

გამოფენა-კონფერენციის მუშაობაში, საქართველოს მასშტაბით, 20-მდე ორგანიზაცია იყო ჩართული, რომლებიც არაფორმალური განათლების ხელშემწყობ საქმიანობას ახორციელებენ. მათი საქმიანობის სპექტრი ფართოდ იყო წარმოდგენილი – დაწყებული სახელობო განათლებიდან დამთავრებული სამოქალაქო თემატიკით, მათ შორის: მეწარმეობა, ღირებულებითი განათლება, პიროვნულ-კომინიკაციური უნარები და სხვ. *„კარგია, თუ უფრო ეფექტურად გამოვიყენებთ იმ რესურსს, რომელიც დღეს საქართველოში დაგროვდა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახით, რომლებიც ბავშვებისთვის, სხვადასხვა მიმართულებით, არაფორმალურ განათლებას ახორციელებენ. ეს ღონისძიება იმასაც ემსახურება, რომ დაინტერესებულ მხარეებს ორგანიზებულად გავაცნოთ არაფორმალური განათლების პროგრამები.“* – აღნიშნა ირინა ხანთაძემ.

გამოფენაში მონაწილე ორგანიზაციებს შორის ერთ-ერთი გახლდათ სათემო ორგანიზაცია „ნუკრიანი“ და მისივე სოციალური საწარმო – „ნუკრიანის სახელოსნოები“. ორგანიზაცია 2005 წლიდან ფუნქციონირებს და 2007 წლიდან აფართოებს საქმიანობას – აარსებს საწარმოს, რომელიც იქვე, ახლომდებარე, ნუკრიანის №1 საჯარო სკოლასთან თანამშრომლობს. *„2007 წლიდან, 2010 წლის ჩათვლით, ფაქტობრივად ყველა გამოშვებას (გოგონებს) ვასწავლიდით ხელსაქმეს.* – ამბობს ორგანიზაციის მენეჯერი **მაია ბიძინაშვილი**, – *ამ წლებში სკოლაშივე გვქონდა სახელოსნო და მოსწავლეებს ხელსაქმეს ვასწავლიდით. შემდეგ სკოლიდან ცალკე გადმოვედით და ახლა, მოსწავლეების გარდა, სოფელში მცხოვრებ მსურველებსაც ვემსახურებით. ამ ხნის განმავლობაში, არაფორმალური განათლების კუთხით, საკმაოდ დიდი გამოცდილება დაგვიგროვდა და დღეს ჩვენი მიზანია, ეს გამოცდილება სხვებსაც გავუზიაროთ. ჩვენი მოტივაცია კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ახალი ინიციატივის – „შრომის გაკვეთილების“ დანერგვა დაიწყო. თუმცა, ამ მიმართულებით საქმიანობას ჯერ ვერ დავიწყებთ, რადგანაც აკრედიტებული პროგრამა არ გვაქვს. ახლა, სწორედ, პროგრამის ჩამოყალიბებაზე ვმუშაობთ და აკრედიტაციისთვის ვამზადებთ, დაახლოებით, 40-საათიან კურსს, რომელიც, ერთდროულად, გააერთიანებს პიროვნულ განვითარებას, მეწარმეობასა და ხელსაქმეს. ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი ინიციატივაა სამინისტროს მხრიდან, რადგანაც არაფორმალური განათლება ყოველ ფეხის ნაბიჯზე, სოცოცხლის ბოლომდე, სჭირდება ადამიანს. შეიძლება სოფლიდან წასულმა ახალგაზრდამ უმაღლესი განათლება მიიღოს, შემდეგ დაბრუნდეს სოფელში და აღმოაჩინოს, რომ ხუთი წლის განმავლობაში მიღებული განათლებით – პროფესიით, ვერ დასაქმდა და მისთვის აუცილებელი გახდეს სხვა ხელობის დაუფლება. არაფორმალური განათლების კუთხით სწორედ აქ, ჩვენთან იპოვის საკუთარ ადგილს.“*

„ჩაერთე რაგბში“ – ამ მოწოდებით იყო წარმოდგენილი რაგბის ასოციაცია, რომელიც თბილისის სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ცდილობს და მათთვის არაკონტაქტური რაგბის ვარჯიშებს ატარებს. **გიორგი კაჭარავა**, რაგბის ასოციაციის მენეჯერი ამბობს, რომ გამოფენაზე პროპაგანდას გაუწევს სპორტს, რაც შეიძლება მეტი მოზარდი რომ ჩართოს რაგბში და ამით ხელი შეუწყოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. *„ჯერჯერობით, მხოლოდ თბილისის სკოლებს მოვიცავთ, 118 სკოლაში შევდივართ და ვატარებთ ვარჯიშებს, საკმაოდ კარგი დამოკიდებულებაა ბავშვების მხრიდან. შარშან ჩვენ მიერ ჩატარებულ ფესტივალებში 53-მა სკოლამ მიიღო მონაწილეობა. იმდენად პოზიტიური დამოკიდებულებაა მოსწავლეების მხრიდან, რომ მომავალში რეგიონების ჩართვასაც ვგეგმავთ. გვინდა, რაც შეიძლება მეტი მოზარდი შემოუერთდეს ჯანსაღი ცხოვრების წესს“.*

არაფორმალური განათლების გამოცდილების გაზიარებას შეეცადა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ გამოფენაზე წარმოდგენილი სტენდით. პროგრამის კოორდინატორმა, ახალგაზრდული კომპონენტის მენეჯერმა, **შოთა ჯაბუამ** ჩვენთან იმ მრავალმხრივ გამოცდილებაზე ისაუბრა, რომელიც ორგანიზაციას წლების განმავლობაში დაუგროვდა. *„დღეს აქ იმიტომ შევიკრიბეთ, რომ გამოცდილება გავუზიაროთ ერთმანეთს და არაფორმალური განათლების დასამკვიდრებლად ინოვაციური ხერხები ვეძებოთ,* – გვითხრა პროგრამის კოორდინატორმა – *ჩვენი ძირითადი ორგანიზაცია გურიაშია. ჩვენს სტენდზე გამოვფინეთ ნამუშევრები, განხორციელებული პროექტები, რომელსაც წლების განმავლობაში ვაკეთებთ და დამერწმუნებით, ასეთი არც თუ ცოტა გვაქვს – „ლიდერთა სკოლა“, არაფორმალური განათლების ცენტრი, საოჯახო ტიპის სახლი, ხანდაზმულთა სახლი და სოციალური კაფე „8+1“.*

არაერთი პროექტი განვახორციელეთ აშშ-ს საელჩოსთან ერთად, გამოვეცით წიგნი – „დამხმარე სახელმძღვანელო ბავშვთა უფლებების სწავლებისთვის“, რომელიც 16 ანიმაციურ რგოლსა და დაგეგმილ გაკვეთილს აერთიანებს. გამოცემას თან ახლავს დისკი. ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად შეიძლება ჩაითვალოს, ასევე, კაფე „8+1“ , რომელიც სოციალური მეწარმეობის საუკეთესო მაგალითია. ჩვენი სავიზიტო ბარათია „ლიდერთა სკოლა“, რომელმაც არაერთი წარმატებული ადამიანი გაზარდა, მათ შორის შეიძლება დავასახელო გიორგი კეკელიძე. გარდა ამისა, გამოვცემთ გაზეთს „8+1“, რომელშიც მოსწავლეების წერილები იბეჭდება, ხოლო გაზეთ „საფეხურებში“ – მასწავლებელთა პუბლიკაციები. დღევანდელ ღონისძიებაზე გვინდა ჩვენი საქმიანობის შესახებ უფრო დეტალურად შეიტყოს საზოგადოებამ, ამ მიმართულებით დაინტერესებულმა ადამინებმა თუ ორგანიზაციებმა. მეტიც, გვინდა ვიპოვოთ პარტნიორები, საუკეთესო გამოცდილების მქონე ორგანიზაციები, აღმოვაჩინოთ სიახლეები, რათა დავარწმუნოთ ყველა, რომ არაფორმალური განათლება არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის წარმატებისთვის, ვიდრე ფორმალური.“

გამოფენაში მონაწილეობდა 186-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების სამოქალაქო განათლების კლუბი „დელტა“. მათ მიერ განხორციელებული ღონიძიებების შესახებ **ნინო ბუთხუზი** და **ბუბა ხუცურაული** გვესაუბრნენ. კლუბმა ძალიან საინტერესო პროექტები განახორციელა ორწლიანი არსებობის განმავლობაში, საგრანტო პროექტებიც მოიპოვეს, მერიასთანაც აწარმოეს ადვოკატირება და სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ზებრა-გადასასვლელი დაახაზინეს. ნინო ამბობს, რომ აქტიურად არიან ჩართულები საქველმოქმედო ღონისძიებებშიც: *„თითქმის ყოველთვიურად ვაგროვებთ ნივთებს და მიგვაქვს მოხუცთა თავშესაფარში, ასევე ხშირად ვაწყობთ დასუფთავების აქციებს“.* ბუბა ხუცურაული იმ მასშტაბურ პროექტებზე საუბრობს, რომელსაც კლუბი ახორციელებს. *„უამრავი პროექტი განვახორციელეთ: „მწვანე გარემო“, „უსაფრთხო გზა ქვეითებს“* და სხვ. *მათგან რამდენიმე მართლაც მასშტაბური და ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მაგალითად, პროექტი „მოიქეცი ისე, როგორც გინდა, რომ მოგექცნენ შენ“ – ეს პროექტი სკოლებში ბულინგის თემას ეხებოდა. პირველ რიგში, გავმართეთ პრეზენტაცია – რა არის ბულინგი, შემდეგ კი დავიწყეთ კვლევა, რომლის ფარგლებშიც თბილისის სხვადასხვა სკოლის 400-მდე მოსწავლე გამოვკითხეთ, რა ინფორმაცია ჰქონდათ ბულინგის შესახებ. გამოკითხულ რესპონდენტთა პასუხები შევაჯამეთ და ასეთი სტატისტიკა მივიღეთ – 80-მა პროცენტმა არ იცოდა რა იყო ბულინგი, 73-მა პროცენტმა გვიპასუხა, რომ შესწრებია ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტს, ხოლო 23 პროცენტს საერთოდ არ ჰქონდა კითხვაზე პასუხი. ამის შემდეგ ჩავატარეთ, ბულინგის თემაზე, ნახატებისა და ბლოგების კონკურსი, მოვაწყვეთ ფულმის ჩვენება-განხილვა. ამავე პროექტის ფარგლებში, ფსიქოლოგებმა ბულინგის პრევენციაზე ტრენინგები ჩაატარეს. ვფიქრობთ დღეს ეს ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანი თემაა და რაც მთავარია, ჩვენი პროექტები სწორედ არაფორმალური განათლების მიმართულებით ხორციელდება, პროგრამის „მომავლის თაობა“ მხარდაჭერით. დღევანდელ ღონისძიებაში ჩვენი მონაწილეობაც არაფორმალური განათლების ხელშეწყობამ განაპირობა“.*

არაფორმალური განათლების კონფერენციას უძღვებოდა „კოალიცია განათლება ყველასთვის – საქართველო“, რომელმაც საზოგადოებას, პრეზენტაციის სახით, შესთავაზა საკუთარი ხედვა, როგორია არაფორმალური განათლების როლი ფორმალური განათლების *კონტექსტში. „კოალიციამ მოაწყო რამდენიმე ფოკუს ჯგუფი მასწავლებლებისთვის, რომლებიც ჩართულები იყვნენ პროგრამაში და მათგან უკუკავშირი ცალსახად დადებითია. მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ არაფორმალურ განათლებას სერიოზული როლი უჭირავს ახალგაზრდების განვითარებასა და მათი მომავლის დაგეგმვაში“* – აცხადებენ კოალიციაში.

კონფერენციაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის პრეზენტაცია მიეძღვნა ე.წ. „შრომის გაკვეთილების“ პროგრამას, რომელიც საპილოტე რეჟიმშია და ექსტრაკურიკულარული სახით შევა სკოლებში, შრომითი სამეწარმეო უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. „შრომის გაკვეთილები“, ამ ეტაპზე, ამავდროულად, ტიპური არაფორმალური განათლების ხელშემწყობ პროგრამასაც წარმოადგენს.

კონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა სამინისტროს მიერ დაწყებულ ახალ პროგრამაზე – **სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარება**, რომელიც ეფუძნება საუკეთესო საერთაშრისო პრაქტიკას. სკოლის ასაკში შრომითი/პროფესიული უნარების გამომუშავება მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, ხელს უწყობს მათი აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და ეხმარება განათლების შემდგომ საფეხურზე ეფექტურ გადასვლაში. სწორედ ამ მიზნით, სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო პროექტების გამოსავლენად. კონკურსი საშუალებას აძლევს განათლების ყველა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებას, გაერთიანდნენ და ურთიერთთანამშრომლობის გზით, მოსწავლეების სასკოლო ცხოვრება უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახადონ.

სამინისტროს მხრიდან, ასევე, მომზადებულია მეთოდოლოგიური რეკომენდაციების დოკუმენტი, რომელიც დაინტერესებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს მკაფიო წარმოდგენას შეუქმნის შრომითი უნარების განმავითარებელი აქტივობების მიზნების, განხორციელების გზების, მოსწავლეთა შეფასებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ.

შრომითი უნარების განვითარების პროგრამა ხელს შეუწყობს მოზარდებში შრომითი/პროფესიული უნარების განვითარებას, მათ თვითგამორკვევას, პროფესიული/უმაღლესი განათლების პოპულარიზაციასა და ზოგადად, გაზრდის მოტივაციას შემდგომი განათლების მისაღებად.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კიდევ ერთი პრეზენტაცია გამართა, რომელიც „თავისუფალ გაკვეთილებს“ ეხებოდა. ამ პროგრამაში, რომელიც გასულ წელს განხორციელდა, 800-ზე მეტი სკოლა ჩაერთო და როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, სწორედ ტიპური არაფორმალური განათლების დანერგვას ემსახურებოდა სკოლების ბაზაზე. „თავისუფალი გაკვეთილები“, ძირითადად, დამატებითი, თემატური, სხვადასხვა საწრეო თუ სასემინარო სახით მიმდინარეობდა სკოლებში და საკმაოდ კარგი შედეგებიც დაფიქსირდა.

„ზოგადად, არაფორმალური განათლება მეტად უნდა იყოს აღიარებული და სასურველია, კონცეფცია ცალკე შემუშავდეს სახელმწიფო დონეზე“ – აცხადებს განათლებისა და მეცნიერების ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი **ლალი კალანდაძე.** – *რაც შეეხება სკოლის შემდგომ აქტივობებსა და ექსტრაკურიკულარულ აქტივობებს, ბუნებრივია, ეს სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია – ფორმალურ განათლებასთან ერთად, მოსწავლეები არაფორმალურ სივრცეში და არაფორმალურ გარემოში დაკავდნენ დამატებითი აქტივობებით. დღევანდელი კონფერენცია ზუსტად ამას ემასახურება. რეალურად უნდა ვნახოთ, საქართველოში, ბაზარზე რა მოთხოვნებია, რომელი ორგანიზაცია რას აწარმოებს და როგორ შეიძლება დავამყაროთ ურთიერთობა ამ ორგანიზაციებსა და სკოლებს შორის, ასევე, მაქსიმალურად ჩავრთოთ მოსწავლეები აქტივობებში.*

ამ ეტაპზე, 900-მდე სკოლაში, სამინისტროს დაფინანსებით, დამატებითი წრეებია შექმნილი და დანარჩენი სკოლები ცდილობენ მაქსიმალურად მეტი ფართი გასცენ იჯარით, რომ მოსწავლეები, გაკვეთილების შემდეგ, დაკავდნენ ხელოვნებით, სპორტით და ა.შ. თბილისში, ძირითადად, ყველა სკოლის ბაზაზეა შექმნილი დამატებითი წრეები, რეგიონებში კი, სამინისტრო ცდილობს დააფინანსოს მსგავსი პროექტები, განსაკუთრებით სოფლის და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ბავშვების კლასგარეშე აქტივობები.“

კონფერენციაზე მოწვეული იყო თბილისის მერიის განათლების სამსახურის წარმომადგენელი **გიორგი ჩიქოვანი**. მან ისაუბრა იმ პოლიტიკაზე, რომელსაც მერია, არაფორმალური განათლების კუთხით, აწარმოებს, მიმოიხილა ასევე ზოგადსაგანმანათლებლო, შემეცნებითი და ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი პროექტები. ცალკე გამოყო მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მიერ განხორციელებული პროგრამები, რომლებიც თავისუფალი დროის გონივრულ გამოყენებასა და სკოლისშემდგომ განათლებას უწყობს ხელს. *„ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა, რომ თბილისის მერია, უკვე რამდენიმე წელია, აქტიურად ცდილობს ამ სფეროს მხარდაჭერას და სხვადასხვა არაფორმალური განათლების პროგრამების ხელშეწყობას, თბილისის მასშტაბით. საინტერესოა მათი ხედვა სკოლაზე დაფუძნებული არაფორმალური განათლების პროგრამებთან დაკავშირებით.“* – ამბობს ირინა ხანთაძე.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტებმა: **ვლადიმერ აფხაზავამ**, **ეკატერინე წულუკიძემ** და **ნათია ფურცელაძემ**, რომლებმაც საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს კოლეგებს არაფორმალური განათლების კუთხით და კონკრეტული პროექტების შესახებ ისაუბრეს. *„დღევანდელ ღონისძიებაში მონაწილეობის მთავარი მიზანია, ჩვენ მიერ განხორციელებული პროექტების მაგალითზე, საზოგადოებას გავუზიაროთ გამოცდილება, როგორ ვიყენებთ არაფორმალურ განათლებას სწავლების პროცესში“* – გვითხრა ვლადიმერ აფხაზავამ. ეკატერინე წულუკიძემ კი არაფორმალური განათლება სოფლის სკოლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნია: *„ჩემი პრეზენტაცია, ბუნებრივია, არაფორმალურ განათლებას და მის მნიშვნელობას ეხება. ჩემი ინიციატივით ფუნქციონირებს სოციალური საწარმო „მზეკო“, რომელიც ითვალისწინებს: ქალების დასაქმებას, სამუშაო ადგილების გაჩენას და ახალგაზრდებისთვის შრომითი და მეწარმეობის უნარების განვითარებას. პროექტის ფარგლებში, შევქმენით საწარმო, სადაც ახალგაზრდებს შეეძლოთ ესწავლათ ხელსაქმე, მატყლის დამუშავება, ქეჩაზე მუშაობა. მთელი ზაფხულის განმავლობაში ისინი სწავლობდნენ და ქმნიდნენ პროდუქციას – სამკაულებს, აქსესუარებს და სუვენირებს. მათი რეალიზების შედეგად შემოსული თანხის ნაწილი ბავშვებს ანაზღაურების სახით მივეცით, ნაწილს კი ისევ მასალების შეძენას ვახმართ. ჩემი მიზანია, დღეს კიდევ ერთხელ განვაცხადო, თუ რა მნიშვნელობა აქვს მსგავსი პროექტების განხორციელებას სოფლის სკოლებისთვის და ახალგაზრდებისთვის“.*

ახალი ამბები

სემინარი დუალური განათლების დაფინანსების საკითხებზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროსა და ევროპის განათლების ფონდის (ETF) ორგანიზებით, „სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური სწავლების დაფინანსების“ თემაზე, სემინარი გაიმართა.

სემინარის მიზანი იყო სამუშაოზე დაფუძნებული – დუალური განათლების დაფინანსების მოქნილი მექანიზმებისა და დამსაქმებელთა წახალისების სხვადასხვა მოდელების განხილვა. შეხვედრის ფარგლებში, დაიგეგმა სამომავლო პარტნიორობის გაღრმავება ევროპის განათლების ფონდთან (ETF) სამუშაოზე დაფუძნებული დუალური განათლების საკითხებზე. საერთაშორისო ექსპერტებმა დუალურ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

სემინარს ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, კომპანიებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ირინა წეროძე, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი: *„განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მასპინძლობს ძალიან მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელიც ეხება, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პლატფორმის ფარგლებში, ETF-ის დახმარებას, რომელიც გულისხმობს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვას აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაფინანსების სქემას და დღევანდელი შეხვედრის მიზანი სწორედ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებაა, რომელიც ამ ქვეყნებში არსებობს.*

ევროპის განათლების ფონდი – ETF ეხმარება საქართველოს პროფესიული განათლების სისტემას, ტექნიკურ დახმარებას უწევს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხორციელებისთვის, როგორიცაა: ხარისხის უზრუნველყოფა, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სისტემური და ინსტიტუციური დანერგვა. ჩვენი პარტნიორები სხვადასხვა ქვეყნებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები გვიზიარებენ იმ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც საქართველოში ფინანსების მექანიზმებისა და სხვადასხვა მოდელების დანერგვას ეხება.“

ტიმო კუსალა, ETF-ის წარმომადგენელი: *„დღეს ვესწრებით ვორქშოპს, რომელიც ETF-ის რეგიონული პროექტის ფარგლებში ტარდება. პროექტის მიზანია, გავიგოთ, რა შესაძლებლობები და გამოწვევებია სხვადასხვა ქვეყნებში, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიმართულებით. ასევე, განვიხილავთ კერძო სექტორისა და პროფესიული განათლების დაკავშირების შესაძლებლობას, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვის გზით.*

დღევანდელ ვორქშოპზე ვისაუბრეთ დაფინანსების შესაძლებლობებზე, ასევე, კერძო სექტორისთვის იმ პირობების შექმნაზე, რომელიც უბიძგებს მათ, დაასაქმონ პროფესიული განათლებამიღებული სტუდენტები. ადგილობრივი შემთხვევებისა და პრაქტიკის საფუძველზე, გავაანალიზეთ რა მდგომარეობაა ქვეყანაში ამ მიმართულებით და რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს საქართველოს საერთაშორისო გამოცდილებამ.”

ახალი სასწავლო კორპუსი ხაშურში

გაიხსნა ხაშურის პირველი საჯარო სკოლის ახლად რეაბილიტირებული სასწავლო კორპუსი, რომლითაც 475 მოსწავლე ისარგებლებს. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, მოეწყო: სპორტდარბაზი, რესურსოთახი, თანამედროვე სტანდარტების ბუფეტი და საკლასო ოთახები, სადაც სასწავლო პროცესი, ძირითადად, დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის წარიმართება.

აღსანიშნავია, რომ ხაშურის პირველ სკოლას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს და იგი ამ მხრივ მნიშვნელოვანი დატვირთვის მატარებელია. 2016 წელს სკოლას 100 წელი შეუსრულდა და კორპუსის გახსნა სკოლის 100 წლის იუბილეს დაემთხვა.

ღონისძიებას დაესწრნენ და მოსწავლეებს, პედაგოგებსა და საზოგადოებას იუბილე და განახლებული კორპუსის გახსნა მიულოცეს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, **ლია გიგაურმა**; საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, **მარიამ ჯაშმა**; ხაშურის მაჟორიტარმა დეპუტატმა, **სიმონ ნოზაძემ**; შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორმა, **კახა სამხარაძემ**; ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა, **გიორგი გურასპაშვილმა**; ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, **მიხეილ ჯანაშვილმა**; ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, **ზვიად გოგუაძემ;** სკოლის მეგობართა სახელით, დამსწრე საზოგადოებას მიმართა **იოსებ ლომთათიძემ;** სკოლის დირექტორმა, **მორის დანდურიშვილმა** სტუმრებს ახლად გარემონტებული საკლასო ოთახები დაათვალიერებინა.

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ განახორციელა. სარემონტო სამუშაოები 4 თვე მიმდინარეობდა, პროექტის ბიუჯეტი 361775.53 ლარითაა განსაზღვრული.

ლია გიგაური: *„ასწლოვანი იუბილის დღეს გავხსენით ახალი, რეაბილიტირებული შენობა, რომელიც სახელმწიფოს 400 ათას ლარამდე დაუჯდა. მოსწავლეები, რომლებმაც დღეს აქ შემოაბიჯეს, ისწავლიან ძალიან კომფორტულ, ლამაზ გარემოში. ასეთ გარემოში შეუძლებელია მოტივაცია არ ჰქონდეს თითოეულ მოსწავლეს თუ მასწავლებელს.“*

მარიამ ჯაში: *„სასწავლო გარემო უაღრესად მნიშვნელოვანია ბავშვების აკადემიური მოსწრებისთვის და ბუნებრივია, რეფორმების პროცესში, ინფრასტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებას დაეთმობა მნიშვნელოვანი ყურადღება.“*

არაფორმალური განათლების პირველი საერთაშორისო კონფერენცია

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ჯაში** მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში არაფორმალური განათლების პირველ საერთაშორისო კონფერენციას დაესწრო.

როგორც მან აღნიშნა, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, 76-წლიანი ისტორიით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად ჩამოყალიბდა: *„ამ კედლებში არაერთი თაობა აღიზარდა და დღესაც, 4500-ზე მეტი ახალგაზრდის ჩართულობით, სასახლე არაფორმალური განათლების წამყვან ცენტრად რჩება. ტრადიციული მუსიკალური, თეატრალური, ქორეოგრაფიული, კინო-კლუბისა და სასკოლო დისციპლინების გარდა, სასახლეში ვითარდება ახალი წრეები, რომლებიც ჩვენს მომავალ თაობას თანამედროვე სამყაროსათვის აუცილებელი ცოდნის შეძენის შესაძლებლობას სთავაზობს“.*

ტრადიციულად, სასახლეში უამრავი სიახლე ინერგება, მათ შორის, საბანკო და ბიზნესის მიმართულებით განათლება, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში ახალგაზრდების მოსამზადებლად. *„ჩვენ სასახლის განვითარების ახალი ეტაპის მომსწრენი ვართ, რისთვისაც მადლობას ვუხდით ქალბატონ **თიკა რუხაძეს** და მთელ კოლექტივს, თითოეულ პედაგოგს“,* – განაცხადა მარიამ ჯაშმა.

მან მიმოიხილა არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა და საზოგადოებას გააცნო, თუ რა შეიძლება გაკეთდეს არაფორმალური განათლების კიდევ უფრო მეტად განვითარებისთვის. *„საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლის მანძილზე საკმაოდ მრავალფეროვანი გახდა არაფორმალური განათლება როგორც სტრუქტურით, ასევე უწყებრივი დაქვემდებარებით. დღეს არაფორმალური განათლების ცენტრები სხვადასხვა სამინისტროს, მუნიციპალიტეტებს ექვემდებარებიან ან მოქმედებენ დამოუკიდებლად, რაც არათანაბარ შესაძლებლობებს ქმნის ბავშვებისათვის“.*

კომიტეტის თავმჯდომარემ იმაზეც ისაუბრა, როგორი უნდა იყოს არაფორმალური განათლების სისტემა, დაფინანსება და გადასახადები ოჯახებისთვის: *„პირველ რიგში, ვფიქრობ, განათლების სამინისტროსთან ერთად, უნდა განისაზღვროს ერთიანი ეროვნული კონცეფცია, მიზნები, სტრუქტურა და პრიორიტეტული მიმართულებები. ეროვნულ დონეზე უნდა მოხდეს არაფორმალური სახელოვნებო, სპორტული თუ სოციალური განათლების მეთოდოლოგიის შეჯერება, რომ მეტნაკლებად სანდო და თანაბარი ხარისხის განათლება მივაწოდოთ ბავშვებს, ქვეყნის მასშტაბით. თბილისში, ვფიქრობ, ერთიანი მეთოდოლოგიური ცენტრის ფუნქცია შეიძლება სწორედ მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრმა იტვირთოს. შესაძლოა, ეროვნულ დონეზეც კი, თუმცა ეს შემდგომი განხილვის საკითხია“.*

მას მიაჩნია, რომ წარმატებული რეფორმებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია პარტნიორი ორგანიზაციების (გაეროს, OECD, Aflatun International) და ქვეყნების გამოცდილების გაზიარება არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებით.

„გიდასტურებთ პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის მზაობას, მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ არაფორმალური განათლების სისტემის რეგულაციების შემუშავებასა და კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგს“, – მიმართა მარიამ ჯაშმა კონფერენციის მონაწილეებს.

საშოდელო გაკვეთილი

მათემატიკის ერთი გაკვეთილის შესახებ

ყველა მასწავლებლის მოვალეობაა ეროვნული სასწავლო გეგმის საგნის მიზნების და ამოცანების შესრულება. სწავლების მიზნები მრავალფეროვანია და ცხადია, ყველა მათგანის მიღწევა ერთი კონკრეტული გაკვეთილის (აქტივობის) ფარგლებში შეუძლებელია. მათემატიკის სწავლების მიზნებიდან განსაკუთრებით მინდა გამოვყო შემდეგი:

- **მსჯელობა-დასაბუთება: ვარაუდის გამოთქმა და კერძო შემთხვევებში მისი კვლევა;**
- **პრობლემების გადაჭრა: კომპლექსური (რთული) პრობლემის საფეხურებად, მარტივ ამოცანებად დაყოფა და ეტაპობრივად გადაჭრა (ამოხსნა), მათ შორის, სტანდარტული მიდგომებისა და პროცედურების გამოყენებით.**

ორივე მიზნის მიღწევა გულისხმობს ისეთი გაკვეთილის დაგეგმვას და ჩატარებას, რაც, პირველ რიგში, მოსწავლეების კვლევითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ასეთი ტიპის უნარების ეფექტურად განვითარება კონსტრუქტივისტული გაკვეთილების დაგეგმვით და ჩატარებით ხდება. მინდა გაგიზიაროთ ჩემ მიერ ჩატარებული ერთი გაკვეთილი, რომელიც მიზნად ისახავდა კვლევითი უნარების განვითარებას მათემატიკაში.

სკოლაში („ევროპული სკოლა“), რომელშიც მათემატიკას ვასწავლი, ფუნქციონირებს საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამა. პროგრამა გამოირჩევა ბევრი საინტერესო რამეთი და განსაკუთრებით თავისი შეფასების სისტემით. შეფასებით მოწმდება ოთხი უნარი:

A – ფაქტობრივი ცოდნა;
B – კვლევითი და კანონზომიერების აღმოჩენის უნარი;
C – კომუნიკაცია და მათემატიკური ენის გამოყენების უნარი;
D – რეალური პრობლემის გადაწყვეტის (ამოხსნის) უნარი.

ჩემ მიერ ჩატარებული გაკვეთილის მიზანი იყო B – კვლევითი და კანონზომიერების აღმოჩენის უნარის შემოწმება მოსწავლეებში. ქვემოთ წარმოვადგენ გაკვეთილის გეგმას და მის ანალიზს.

კლასი: მე-10
საგანი: მათემატიკა
დრო: 45 წუთი
მიზანი: მოსწავლეებში კვლევითი და კანონზომიერებების აღმოჩენის უნარების განვითარება. ესგ-ს მიხედვით მათ.X.3, მათ.X.4, მათ.X.7.
გაკვეთილის თემა: უსასრულო კვადრატული ფესვები
წინარე ცოდნა: მოქმედებები რადიკალებზე, ტექნოლოგიების გამოყენება გამოთვლებში, კვადრატული განტოლების ამოხსნა
რესურსები: პერსონალური კომპიუტერი საოფისე პროგრამებით, ფურცელი, კალამი

გაკვეთილის სცენარი: გაკვეთილი იწყება წინარე ცოდნის გააქტიურებით და ინსტრუქციის მიცემით დავალების შესასრულებლად (**8წთ.**)

შემდეგ უკვე მოსწავლეებს ურიგდება შემდეგი დავალება (**30წთ.**):

$$X = \sqrt{2 + \sqrt{2 + \sqrt{2 + \sqrt{2 + \sqrt{2 + \cdots}}}}}$$

გამოსახულება წარმოადგენს უსასრულო კვადრატული ფესვის მაგალითს. ზოგიერთი უსასრულო კვადრატული ფესვი შეიძლება ჩაწერილი იქნეს მთელი რიცხვის სახით.

შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. გამოიყენეთ ტექნოლოგიები და გამოთვალეთ მძიმის შემდეგ ექვსი ციფრის სიზუსტით:

ა) $\sqrt{2}$

ბ) $\sqrt{2+\sqrt{2}}$

გ) $\sqrt{2+\sqrt{2+\sqrt{2}}}$

დ) $\sqrt{2+\sqrt{2+\sqrt{2+\sqrt{2}}}}$

ე) $\sqrt{2+\sqrt{2+\sqrt{2+\sqrt{2+\sqrt{2}}}}}$

2. გააგრძელე ეს პროცესი და იწინასწარმეტყველე X-ის მნიშვნელობა;
3. გამოიყენე განტოლებები და იპოვე X-ის მნიშვნელობა (მითითება: X^2 გამოსახე X-ის საშუალებით);
4. გამოიყენე დავალება 3-ში მიღებული შედეგი და იპოვე უსასრულო კვადრატული ფესვებით 3-ის წარმოდგენა;
5. როგორ შეიძლება განზოგადდეს მიღებული შედეგი ნებისმიერი რიცხვის უსასრულო ფესვების წარმოდგენისათვის.

ამის შემდეგ ვისმენ და ვაჯამებ მოსწავლეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს (**7წთ.**).

შეფასება: მოსწავლეთა ნამუშევრებს ვაფასებ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ქულა	აღწერა
0	მოსწავლე ვერ ასრულებს ვერც ერთ დავალებას.
1-3	მოსწავლეს შეუძლია: მიჰყვეს ინსტრუქციას, მასწავლებლის დახმარებით იყენებს მათემატიკურ ცოდნას მარტივი კანონზომიერების დასადგენად; გააკეთოს შესაბამისი მარტივი წინასწარმეტყველებები.
4-5	მოსწავლეს შეუძლია: გამოიყენოს მათემატიკური ცოდნა კანონზომიერების დასადგენად; გამოთქვას ვარაუდებსი თუ როგორ შეიძლება იმუშაოს ამ კანონზომიერებამ.
6-9	მოსწავლეს შეუძლია: გამოიყენოს მათემატიკური ცოდნა კანონზომიერების დასადგენად; ამ კანონზომიერებაზე დაყრდნობით წინასწარმეტყველებების გაკეთება; მიღებული შედეგების განზოგადება.
10	მოსწავლე ასრულებს ყველა დავალებას, აკეთებს სწორ დასკვნებს, აკეთებს ზუსტ წინასწარმეტყველებას, აზოგადებს მიღებულ შედეგს, აფასებს მიღებულ შედეგებს.

რეფლექსია: ჩატარებული გაკვეთილის ანალიზმა მომცა გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალება. კერძოდ, მოსწავლეების 95%-მა თავი გაართვა პირველ დავალებას, რაც გულისხმობდა გამოთვლების შესრულებას გარკვეული სიზუსტით. მოსწავლეთა 80%-მა ასევე წარმატებით გაართვა თავი მეორე დავალებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობდა პირველ დავალებაზე დაკვირვებას და დასკვნის გაკეთებას. შედარებით რთული აღმოჩნდა მესამე დავალება – მას თავი გაართვა მოსწავლეთა 40%-მა, რაც მოითხოვდა სათანადო ცოდნის გამოყენებას განტოლებებზე და ფესვებზე. მოსწავლეთა მხოლოდ 2%-მა უპასუხა მეოთხე დავალებას და მხოლოდ ერთმა მოსწავლემ შეძლო მეხუთე დავალების შესრულება. ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსწავლეებს უჭირთ ამ ტიპის დავალებების შესრულება, ვინაიდან ყოველდღიურ სწავლებაში ისინი, ძირითადად, აქცევენ ყურადღებას უფრო ფაქტობრივ ცოდნას. ამ გაკვეთილის შემდეგ უკვე ერთად (აქ მასწავლებელი შემოიფარგლა მხოლოდ მითითებებით და კითხვების დასმით) გავარჩიეთ და გავაანალიზეთ მიღებული შედეგები. მოსწავლეებმა გამოთქვეს მოსაზრება ასეთი ტიპის დავალებების უფრო ხშირად შესრულებაზე.

გამოყენებული ლიტარატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016
2. Mathematics guide from 2014, MYP International Baccalaureate

გაკვეთილის გაგრძელება (45წთ.)

რეფლექსიამ ცხადყო, რომ გაკვეთილს, თავიდან დასახული მიზნის მისაღწევად, სჭირდება გაგრძელება. ჩვენ თავში აღვნიშნეთ, რომ მიზანი იყო კვლევითი უნარ-ჩვევის განვითარება. აქ ორი ძირითადი პრობლემაა: პირველი – ისეთი დავალების აქტივობების მოფიქრება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში სწორედ კვლევითი უნარების განვითარებას და მეორე – ამ დავალების განსაზღვრული მიზნის მიღწევა. პირველ გაკვეთილში სწორედ პირველი პრობლემაა გადაწყვეტილი და მოფიქრებულია ისეთი ტიპის დავალებები, რომლებიც მოსწავლეებში კვლევით უნარებს ანვითარებს. რაც შეეხება მეორე პრობლემას, სწორედ გაკვეთილის გაგრძელება ემსახურება ამ მიზანს. როგორც თავში აღვნიშნე, ჩემთვის ამოსავალი იყო კონსტრუქტივისტული მიდგომა, რადგანაც კონსტრუქტივისტული თეორიის მიხედვით აგებული გაკვეთილი, სწორედ რომ, ყველაზე უკეთ კვლევით და პროექტულ სწავლებას უწყობს ხელს. მაშ, ახლა გადავიდეთ იმ ნაწილზე, თუ როგორ, რა კითხვებით და მიდგომებით შევაძლებინოთ მოსწავლეებს ყველა დავალების შესრულება.

გაკვეთილი იწყება მასწავლებლის შეკითხვით: რა პასუხები მივიღეთ პირველ დავალებაში?

მოსწავლეებმა გამაცნეს მათ მიერ მიღებული პასუხები, აბსოლუტური უმრავლესობა ერთმანეთს დაემთხვა და გამოიკვეთა შემდეგი:

ა) $\sqrt{2} = 1.144214$

ბ) $\sqrt{2+\sqrt{2}} = 1.847759$

გ) $\sqrt{2+\sqrt{2+\sqrt{2}}} = 1.961570$

დ) $\sqrt{2+\sqrt{2+\sqrt{2+\sqrt{2}}}} = 1.990369$

ე) $\sqrt{2+\sqrt{2+\sqrt{2+\sqrt{2+\sqrt{2}}}}} = 1.997590$

აქვე მინდა დავამატო, რომ რამდენიმე მოსწავლეს შეექმნა ტექნიკური პრობლემა კომპიუტერთან, პროგრამის გამოყენებასთან დაკავშირებით, მაგრამ თავად მოსწავლეები დაეხმარნენ მათ.

შემდეგი შეკითხვა იყო: რას ფიქრობდნენ ისინი მიღებული პასუხებიდან გამომდინარე?

მოსწავლეებმა შენიშნეს, რომ მიღებული პასუხები იზრდებოდა, არ აღემატებოდა 2-ს.

აქვე გასცეს პასუხი მეორე დავალებას და X-ის მნიშვნელობად 2-იანი ივარაუდეს.

შემდეგ დაემატა მასწავლებლის შეკითხვა: ეს ხომ მიახლოებითი გამოთვლებია, რა იცით, რომ იქნება 2-იანი ? ისინი დაფიქრდნენ და შენიშნეს, ალბათ, ამის გასაღები იქნება შემდეგი ნაბიჯიო. ვუთხარი, რომ კარგი შენიშვნა იყო და დავუსვი შეკითხვა: აბა, რას ფიქრობთ, რას გვთხოვენ მესამე დავალებაში და რა უნდა გავაკეთოთ?

ერთმა მოსწავლემ თქვა – საწყისი ტოლობა უნდა გადავწეროთ განტოლების სახით X-ის ტერმინებში. სხვებმა თავად დასვეს შეკითხვა: როგორ, ეს ხომ უსასრულო პროცესია?

თავად მოსწავლეების პასუხი: ორივე მხარე ავიყვანოთ კვადრატში და სწორედ უსასრულობა გვიშველისო.

$$X^2 = 2 + \sqrt{2 + \sqrt{2 + \sqrt{2 + \sqrt{2 + \cdots}}}}$$

წინა ტოლობაში ფესვიანი გამოსახულება ისევ X-აო და მაშასადამე, გვექნება:

$$X^2 - 2 + X$$

ანუ, მივიღეთ კვადრატული განტოლება, იპოვეთ მისი ერთ-ერთი ფესვი. აქ პასუხებმა არ დააყოვნა და მიიღეს 2-ანი. მასწავლებელმა დაამატა – დაუკავშირეთ მიღებულს თქვენი წინასწარმეტყველება და მიღებული პასუხი. მოსწავლეებმა ადვილად დაასკვნეს, რომ მათი ვარაუდი ალგებრულად დამტკიცდა.

ახლა მოვიდა დრო ამ შედეგის განზოგადების 3-ანისთვის. როგორც რეფლექსიაში დავწერე, ეს ნაწილი თითქმის ყველას გაუჭირდა, ტიპური შეცდომა იყო, 2-ანების ნაცვლად, დაწერეს 3-ანი:

$$X^2 = 3 + \sqrt{3 + \sqrt{3 + \sqrt{3 + \sqrt{3 + \cdots}}}}$$

ჩემი მიზანი იყო მეჩვენებინა მათთვის, სად იყო შეცდომა. მოსწავლეებმა იგივე ახლა უკვე მარტივად შეძლეს და დაწერეს:

$$X^2 = 3 + X$$

ამოხსნის შემდეგ მათ ვერ მიიღეს ამ განტოლების ამოხსნა – 3-იანი. მე მივმართე მათ: დაუკვირდით, სად არის თქვენი შეცდომა? აქ დამეხმარა ერთი მოსწავლე და თქვა X უნდა იყოს 3-იანი. ცხადია, ეს მთავარი მიგნებაა და ჩემი დახმარებით დაწერა შემდეგი:

$$X^2 = ? + \sqrt{? + \sqrt{? + \sqrt{? + \sqrt{? + \cdots}}}}$$

$$X^2 = ? + X$$

ჩემი შემდეგი შეკითხვა: რა უნდა ჩავსვათ უკანაკნელში X-ის ნაცვლად ?

პასუხებმა აქაც არ დააყოვნა – 3-იანი, და გვექნებაო:

$$3^2 = ? + 3$$

$$? = 6$$

ანუ მივიღეთ:

$$X = \sqrt{6 + \sqrt{6 + \sqrt{6 + \sqrt{6 + \sqrt{6 + \cdots}}}}}$$

ე.ი. 3-ანის წარმოდგენა უსასრულო ფესვებით.

შემდეგი – ბოლო ნაბიჯი ძალზე საინტერესო იყო მოსწავლეებისათვის – თავად დასვეს კითხვები და გახარებულები მარტივად მივიდნენ ნებისმიერი რიცხვის უსასრულო ფესვების წარმოდგენამდე:

$$X^2 = ? + \sqrt{? + \sqrt{? + \sqrt{? + \sqrt{? + \cdots}}}}$$

$$X^2 = ? + X$$

$$a^2 = ? + a$$

$$? = a^2 - a$$

$$a = \sqrt{a^2 - a + \sqrt{a^2 - a + \sqrt{a^2 - a + \sqrt{a^2 - a + \sqrt{a^2 - a + \cdots}}}}}$$

გაკვეთილის დასრულებისას, მოსწავლეები კმაყოფილი და გახარებული იყვნენ იმით, რომ პატარა, მაგრამ მათთვის ახალი ფაქტი აღმოაჩინეს. გაკვეთილი დავასრულე მოსწავლეთა თვითშეფასებით. ჩემთვის სასიამოვნო იყო იმის მოსმენა, რომ მოსწავლეებს მოსწონთ ამ მეთოდით ჩატარებული გაკვეთილები.

პეტრე ბაბილუა
„ევროპული სკოლის“ მათემატიკის მენტორი მასწავლებელი

საუბრები ლიტერატურაზე

რატომ „უპატარავდებათ“ სახლები ადამიანებს?

იბადება... იზრდება... სიცოცხლე თითოეულ უჯრედში უბევრდება და დნმ-ს უშენებს. ვერაფერი ამოშლის და ვერაფერი გააქრობს ატომის სიხარულს – დაბადების აღმაფრენას. და მაინც, როდის იბადება ადამიანი? როცა დედის ბნელი წიაღიდან გამოაძევებენ მღვრიე ტალღები თუ მაშინ, როცა ცხოვრების დუჟმომდგარი ნაკადები გარიყავენ სხვა პლანეტაზე. იქ, იმ პლანეტაზე მარტო რჩება პატარა უფლისწულივით. მარტოშთენილი იწყებს ძიებას და აქ იწყება ზუსტად დაბადება. გამორიყული, თავიდან დაზაფრული, მერე კი თვალახელილი, ეძებს მას, საზრისს, ოღონდ ახლა ხელის ცეცებით კი არა, არამედ ზემხედველი თვალით ხვდება ჭეშმარიტებას დიდი დაბადების მდინარის მცირე ნაკადულში.

შეიძლება დაიბადო მხედველობისა და სმენის გარეშე ან განუვითარებელი რეცეპტორებით, მაგრამ შეუძლებელია დაიბადო ინტუიციის გარეშე! ყველა, გამონაკლისის გარეშე, იბადება მეექვსე გრძნობით – ინტუიციით.

სწორედ ინტუიცია უბიძგებს ადამიანს დატოვოს „მყუდრო სამყოფელი“ (პაოლო იაშვილი – „წერილი დედას“) და დაადგეს საკუთარი თავის ძიების გზას. სახლი საწყისი წერტილია, ადამიანის არსებობის საფუძველი, თავშესაფარი დაღლილი სულებისა. ამავე დროს, სწორედ სახლიდან იწყება ადამიანის ფენიქსებრი განახლება.

სახლის თემა მნიშვნელოვანია ნებისმიერ მხატვრულ სისტემაში. ის წარმოადგენს უახლოეს საცხოვრებელ ზონას ადამიანისას, სახლის ფენომენი სხვადასხვა კულტურის ტექსტებში განისაზღვრება, როგორც სამყაროთშემქმნელი ბირთვი, ყველაფრის საწყისი წერტილი. ადამიანსაც აქვს თავისი ბიოლოგიური ბირთვი, რომელიც უჯრედის დაყოფის დროს (მიტოზი) ინახავს მემკვიდრულ მახასიათებლებს. ადამიანი, რომელსაც სახლი „დაუპატარავდა“, ტოვებს მას და ქმნის ახალ რეალობას. ეს რეალობა შეიძლება სრულიად განსხვავდებოდეს ტრადიციულისაგან, მაგრამ სახლიდან „გაქცეულებს“ არ უნდა დავაბრალოთ ყველაფერი მშობლიურის მიმართ ანტიპათიური განწყობა (ოიკოფობია). პირიქით, ეს არის ეტაპი, რომელსაც მოაზროვნე ადამიანის გონება ბუნებრივად გადის.

და მაინც, რატომ „უპატარავდებათ“ სახლები? რატომ ვერ ეტევიან საკუთარ ციხესიმაგრეებში ადამიანები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაგვიადვილდება, თუ გავიხსენებთ რამდენიმე მაგალითს ქართული ლიტერატურის სასკოლო პროგრამიდან.

საოჯახო ქრონიკებში სახლი წარმოადგენს აზრობრივ და სივრცულ-ენერგეტიკულ ცენტრს, რომლის ირგვლივაც ჯგუფდება სხვადასხვა სახე. სახლი არის ადგილი, სადაც იწყება და მთავრდება სიცოცხლე. სახლს აქვს მეხსიერება, სახლს ახსოვს დაბადება... სწორედ სახლის მეხსიერება, სიყვარულისა და ბედნიერების გაქრობა აიძულებს შუშანიკ დედოფალს, პროტესტის ნიშნად დატოვოს „სახლი მშვიდობისაი“, სადაც „სიხარული მწუხარებად გადაიქცა“. ეს არის, ალბათ, უკიდურესი გზა საკუთარი თავის გამოხატვისა. სახლის დატოვებით შუშანიკი დაადგა მოწამის გზას. ვარსქენთან ერთად ამ სასახლეში „ვეღარ ეტევა“, რადგანაც სახლი მსგავს სულთა თავშესაფარია. ვარსქენი კი...

გრიგოლ ხანძთელი. ქართლის ერისთავის, ნერსე მე-2-ის კარზე მყოფი, წარჩინებული გვარიშვილი, ბრწყინვალე განათლების პატრონი, ფარულად ტოვებს სახლს და საღვთო მოწოდებით სულიერად განაბრწყინებს მაშინდელი ხანძთის ღამეს, სადაც ხუედიოს მიერ დანთებული ერთადერთი სანთელი ებრძოდა სულიერ წყვდიადს. „უდაბნოს ვარსკვლავად“ იქცა გრიგოლი. სახლის დატოვებით მან ის ბალავარი გაჭრა, რომელზედაც სულ მალე სრულიად საქართველოს სახლი აშენდა.

წმიდა აბო. არაბი ჭაბუკი, საკუთარი „განქარვებადი“ ქონებისა და სახლის დატოვებით პოულობს სულის თავშესაფარს, „განუქარვებელს“, რომელსაც ვერ წაართმევს ვერცერთი ამირა. არაბმა ჭაბუკმა თბილისი თავის სახლად აქცია.

გიორგი ოთარაშვილი იზრდებოდა სახლში, სადაც ყველაფერი დედის ხელების სითბოსა და ოჯახური მყუდროებით იყო აღბეჭდილი. იქ იმუხტებოდა იმ ენერგიით, რომელმაც გამოანგრია მისი გონების კედელი და გააბედვინა თავადის ქალის შეყვარება. სახლმა, რომელიც მოიაზრებს გამეფებულ აურას, დიდი როლი შეასრულა გიორგის ჩამოყალიბებაში. ვეღარ დაეტია მისი გოლიათური ბუნება, ვერ მოთავსდა ჩვეულ საზღვრებში და გაფართოება მოითხოვა. გიორგის სახლიდან წასვლა მისი სიკვდილით დასრულდა, მაგრამ სულაც არ ვთვლი მას ტრაგიკულ პიროვნებად. პირიქით, წასვლით კიდევ უფრო უკეთესი გახდა, და საერთოდაც, იმიტომ წავიდა, რომ უკეთესი დაბრუნებულიყო.

სამაგიეროდ, ჩვენს ლოყებღაჟღაჟა თავადს მოსწონდა სახლში ჯდომა და ჭერში ბუზების თვლა. განა ეს საქმე არ იყო? საკუთარი, ალაგ-ალაგ გადაქცეული ტყრუშული ღობით შემოსაზღვრული ნეხვდაყრილი მიწა მისთვის ნამდვილი არკადიაა. ასეთ ადამიანებს სახლები არასოდეს „უპატარავდებათ“, სამკვიდროს მოყვარულებად რჩებიან სიცოცხლის ბოლომდე. ყველას გვახსოვს სულხან-საბა ორბელიანის იგავი „იხვი და მყვარი“. სტერეოტიპული აზროვნებით, მყვარი კარგია, ხოლო იხვი – ცუდი, რადგან ამ უკანასკნელმა დატოვა თავისი გუბე (სამშობლო, ოჯახი) და საკუთარ თავს უშველა. *„მყვარი კვდება. რისთვის კვდება ის, რა აზრი ან გამართლება აქვს მის დაღუპვას? პასუხი სავსებით ნათელია – პრაქტიკულად არაფერი“* (გ. მურღულია).

არსებობს ორი ტიპის აზროვნება. ერთი, როცა ადამიანის ცხოვრება ახალ-ახალ გამოწვევათა და ვითარებათა წყებაა და ნამდვილი პიროვნების ვალია, ამ გამოწვევებს გონივრულად უპასუხოს. ზოგ ადამიანს კი სიახლის ეშინია, *„აზროვნების გახევებისა და გაქვავებულობის გამო“* (გ. მურღულია). ლუარსაბის აზროვნების გაქვავებულობა თვალშისაცემია მისი სტატიკური ცხოვრების ფონზე.

იგიც ხომ სულხან საბას იგავის პერსონაჟის – იხვის მსგავსი აზროვნებისაა. არ აპირებს დარჩეს ბნელ გამოქვაბულში, ისიც „დაპატარავებული“ სახლ-სამყაროს ხუთვას გამოქცეული, წელში გამართული, გამოქვაბულში ვერდატეულია. ისინი მიდიან სახლის გასაფართოებლად, რადგანაც უნდათ თავიანთ სახლებში სხვებმაც იცხოვრონ და ისუნთქონ (გავიხსენოთ პლატონის მითი გამოქვაბულის შესახებ). ჯემალ ქარჩხაძის იგი არ შეუშინდა მარტოობასა და შემეცნების ფართო, ხიფათიან გზას დაადგა.

„პიროვნული ხსნის გზა ყოველთვის ინდივიდუალურია. მართალია, მოძმეს შეუძლია გზის გაადვილება, როგორც ბარათაშვილი წერს „მერანში“, მაგრამ საკუთარი თავი ყველამ ინდივიდუალურად უნდა აღმოაჩინოს“ (მაია ჯალიაშვილი).

ნანა თურძაძე
თბილისის ვლადიმირ კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
გია მურღულია, „საუბრები ლიტერატურაზე“

ლიტერატურული კონკურსი

„შემოდგომის ლეგენდა 2017“-ის გამარჯვებულები გამოვლინდნენ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა 2017“ დაჯილდოება გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ: თსუ-ს რექტორი **გიორგი შარვაშიძე**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ალექსანდრე თევზაძე**, კომპანია „ჯეოსელის“ კორპორაციული კომუნიკაციების ხელმძღვანელი **ლიკა მეტრეველი**, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები. პირველი საპრიზო ადგილი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს **ხატია იათაშვილს** ერგო, მეორეადგილოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი **ალექსანდრე კალმახელიძე** გახდა, ხოლო მესამე ადგილი ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტმა, **მარიამ ჭუმბურიძემ** დაიკავა. კონკურსის საპრიზო თანხა და კომპანია ჯეოსელის საჩუქრები – მობილურები „ეფლისგან“ სამ გამარჯვებულზე გადანაწილდა: I ადგილი – 1000 ლარი, II ადგილი – 700 ლარი და III ადგილი – 500 ლარი.

ლიტერატურულ კონკურსში პირველად გამოსცადა საკუთარი შესაძლებლობები პირველი ადგილის მფლობელმა ხატია იათაშვილმა. მისი თქმით, გამარჯვება მოულოდნელი იყო. *„თავდაპირველად, შესარჩევ ტურში როცა გავაგზავნე ნაშრომი, ველოდი, რომ მოვხვდებოდი ათეულში. შემდგომ უკვე ნაკლებად ვგრძნობდი თავს, როგორც კონკურსანტი, გამარჯვებაზე არც მიფიქრია და ძალიან მოულოდნელი აღმოჩნდა. საკონკურსო თემა სხვისი ავტობიოგრაფია იყო და დავწერე ერთი ქალის ცხოვრების ისტორია – პატარ-პატარა დეტალებით შემდგარ მის ცხოვრებაზე“,* – განაცხადა ხატიამ.

ჟიურის წევრის, **მაკა ლდოკონენის** შეფასებით, 9 წლის განმავლობაში კონკურსმა ძალიან ბევრი საინტერესო ახალგაზრდა ავტორი აღმოაჩინა: *„ჩვენი კონკურსი რომ სტიმულის მომცემია, ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ეს სტუდენტები მომავალშიც აგრძელებენ წერას, გამოსცემენ თავიანთ კრებულებს, მონაწილეობენ და იმარჯვებენ სხვადასხვა ლიტერატურულ კონკურსში“.*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი პროექტი – სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი – წელს მეცხრედ ჩატარდა. მისი მიზანი ნიჭიერი თაობის აღმოჩენა და მათთვის გზის გაკვალვაა. კონკურსში, საქართველოს მასშტაბით არსებული, ყველა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები მონაწილეობენ. კონკურსი ორ ეტაპად მიმდინარეობს, წელს პირველ ტურში მონაწილეობა 427-მა კონკურსანტმა მიიღო. შიდაშესარჩევ ტურში გამოვლინდა 10 ფინალისტი, რომლებმაც იმპროვიზაციულ ტურში, ჟიურის მიერ შერჩეულ თემაზე, 12 საათის განმავლობაში, ახალი ნაშრომები შექმნეს. იმპროვიზაციულ ტურს სარაჯიშვილების საგვარეულო მამულში – მარუშენში უმასპინძლეს. ლიტერატურული კონკურსის ჟიურის წევრები იყვნენ: მწერლები – **დათო ტურაშვილი**, **თეონა დოლენჯაშვილი**, **მაკა ლდოკონენი**, **არჩილ ქიქოძე** და შარშანდელი გამარჯვებული **ბექა ბერაძე**. მათ მონაწილეებს თემად „სხვისი ავტობიოგრაფია“ შესთავაზეს.

როგორც თსუ-ს რექტორმა, გიორგი შარვაშიძემ აღნიშნა, კონკურსის მონაწილეთა რაოდენობა ყოველწლიურად საგრძნობლად იზრდება. *„427 მონაწილე იყო თავად კონკურსში, 300-ზე მეტმა კი ონლაინ კონკურსში მიიღო მონაწილეობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რაოდენობასთან ერთად იზრდება ხარისხი იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც ახალგაზრდა სტუდენტების მიერ იქმნება. ძალიან კარგი წამოწყებაა და ვიმედოვნებ, საქართველოში ბევრი ასეთი კონკურსი იქნება.“* – განაცხადა რექტორმა.

„ყოველ წელს უფრო და უფრო შედეგიანი და წარმატებულია „შემოდგომის ლეგენდა“. იგი სტუდენტების ერთ-ერთი საყვარელი პროექტია და ჩვენთვისაც გამორჩეულია. ამ წლების განმავლობაში არაერთი საინტერესო აღმოჩენა გაკეთდა ახალაგზრდა მწერალი-სტუდენტების სახით, რომლებმაც წარმატებულად გაიკვალეს გზა. „ჯეოსელს“ ონლაინ გამარჯვებულისთვისაც აქვს პრიზი“, – აღნიშნა „ჯეოსელის“ კორპორაციული კომუნიკაციების ხელმძღვანელმა **ლიკა მეტრეველმა**.

დაჯილდოების საღამოზე გამოვლინდა ონლაინ კონკურსის გამარჯვებულიც – **ნინო მოდებაძე**, რომელსაც კომპანიის მიერ დაწესებული პრიზი – ხმის გამაძლიერებელი marshall acton გადაეცა. ძირითადი კონკურსის პარალელურად, ყველა მსურველს ჰქონდა შესაძლებლობა, ჩართულიყო ონლაინ ლიტერატურულ მარათონში. „ჯეოსელის“ სპეციალური აპლიკაციის დახმარებით დარეგისტრირებულმა კონკურსანტებმა, ფინალისტებისთვის მიცემულ თემაზე, ახალი ნაშრომები შექმნეს. საერთო ჯამში, მარათონში 300-მდე მონაწილე დარეგისტრირდა.

ფინალისტების და ონლაინგამარჯვებულის ნაშრომები ყოველწლიურ ბროშურაში გაერთიანდა, რომელიც ღონისძიებაზე მოსულ სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ.

იუბილე

ამაღლებული დღე
ოტია იოსელიანის სახელობის წყალტუბოს №1 საჯარო სკოლა 135 წლისაა

2017 წლის 24 ნოემბერი ოქროს ასოებით შევა სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის წყალტუბოს პირველი საჯარო სკოლის ისტორიაში. ამ დღეს პედაგოგებმა, მოსწავლეებმა, კურსდამთავრებულებმა, მშობლებმა, ქალაქის ხელმძღვანელობამ ზეიმით აღვნიშნეთ პირველი სკოლის დაარსებიდან 135 წლისთავი.

„ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი ჰპოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თავის ზნეობითს და გონებითს აღმატებულობას, თავის ვინაობას, თავის თვისებას“ – ბრძანებდა ილია.

წყალტუბოს პირველ საჯარო სკოლასაც შინაარსიანი არსებობის ისტორია აქვს. მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან, საქართველოში, დაიწყო სახალხო სკოლების დაარსება. სწავლა-განათლების მიღების სურვილით გამოირჩეოდა დასავლეთი საქართველო, ქუთაისის გუბერნია. იაკობ გოგებაშვილი ბრძანებდა: *„მთელი დედამიწის ზურგზე ვერ მოსძებნით იმისთანა კუთხეს, სადაც ხალხს ჰქონდეს იმაზე მომეტებული წადილი სწავლისა და ცოდნისა, როგორიც არსებობს დასავლეთ საქართველოში“*. სწორედ ამ პერიოდში, 1882 წლის დეკემბერში, დაარსდა წყალტუბოს სკოლა ძმების – სპირიდონ და რომანოზ ფანცხავების მიერ. ეს იყო პირველი სამკლასიანი სასწავლებელი, რომლის შენობა სპირიდონს საკუთარი სახსრებით შეუძენია. 1925 წელს სკოლა შვიდწლედად გადაუკეთებიათ და ახალი შენობა აუგიათ. რაიონული ცენტრის წყალტუბოში გადმოტანისა და ქალაქის ზრდის გამო, დაარსდა პირველი საშუალო სკოლა, რომელიც ახლა საჯაროს სტატუსს ატარებს.

„როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოველ უწინარეს ამას იკითხავს, რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო“. სწორედ წყალტუბოს პირველმა სკოლამ აღზარდა ქართული მწერლობის დიდოსტატი, ოტია იოსელიანი, რომლის საპატიო სახელსაც დღეს ღირსეულად ატარებს.

ერის სულიერი მოძღვარი, ილია ჭავჭავაძე, აღნიშნავდა: *„სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწრუთვნიდეს კიდეც ბავშვსა და ასწავლიდეს კიდეც. წურთვნა და სწავლა ხელიხელს გადაბმულად უნდა ვიდოდეს სკოლაში, ვინაიდან ჭეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად“*. ერთი საუკუნის წინ ნათქვამი ეს სიტყვები სავსებით ეხმაურება ჩვენს თანადროულობას, იმ კურსს, რომელიც სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის წყალტუბოს პირველ საჯარო სკოლას (დირექტორი – **ფაქიზო ფანჩულიძე-კუჭავა**, დირექტორის მოადგილე – **დალი სილაგაძე**) უჭირავს. ის დღესაც წარმატებული და ერთ-ერთი საუკეთესოა რაიონში და არა მარტო რაიონში. აქ ნამდვილად არის მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიღწევების მიმართ მაღალი მოლოდინები და სწავლა-სწავლებისათვის კომფორტული გარემო. დირექცია და კვალიფიციური პედაგოგები თავდაუზოგავად შრომობენ სკოლის პრესტიჟისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, ინერგება ახალი მიდგომები და მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობენ შემდგომ წინსვლას, პროფესიულ ზრდასა და განვითარებას.

სკოლის საიუბილეოდ, სკოლის დირექტორმა ფაქიზო ფანჩულიძემ 3-თვიანი პროექტი განახორციელა, სახელწოდებით – „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა.“ პროექტის მიზანი იყო, სკოლის დაარსებიდან 135 წლის იუბილის აღნიშვნისა და სკოლის საქმიანობის წარმოჩენის გზით, სკოლის პოპულარიზაცია.

პროექტის ამოცანები იყო: საიუბილეო წიგნის გამოცემა; სკოლის საქმიანობის პოპულარიზაცია; საპატიო კურსდამთავრებულებისა და საპატიო პირველი სკოლელის ტიტულის დებულების შემუშავება-დამტკიცება; იუბილეს აღნიშვნა.

პროექტის მიზნობრივი ჯგუფი იყო სკოლის სამივე საფეხურის 100-მდე მოსწავლე, 25 მშობელი, თემის წევრები.

სკოლის საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით, 28 კლასში ჩატარდა ესეებისა და ნახატების კონკურსი „ჩვენი სკოლა 10 წლის შემდეგ“; განვაახლეთ სკოლის ვებპორტალი სასკოლო ცხოვრების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალებით; XII კლასის მოსწავლემ, **ზურაბ ბადირეიშვილმა** შექმნა ვიდეორგოლი, სახელწოდებით – „მოვალთ, იმედად ხვალის“; დამზადდა სკოლის ცხოვრების ამსახველი ბილბორდები, კათედრებმა გამოსცეს საიუბილეო პოსტერები და მოეწყო სკოლის წარსულის ამსახველი ფოტოგამოფენა.

135 წლის განმავლობაში წყალტუბოს პირველ სკოლაში ბევრი პედაგოგი მოღვაწეობდა. მათი სახელების უკვდავსაყოფად, ქალბატონ ფაქიზო ფანჩულიძის თხოვნით, საქართველოს კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა, ქალაქ წყალტუბოს საპატიო მოქალაქემ, ღირსების ორდენის კავალერმა, ქალბატონმა **ციალა ღვინიანიძემ**, საიუბილეოდ შეადგინა და წიგნად გამოსცა პირველი სკოლის ისტორია.

პროექტი საიუბილეო საღამოზე შეაჯამეს (სცენარის ავტორი – **დოდო ხაჩიძე**, მუსიკალური გამფორმებელი – **მაკა ჟორჟოლიანი**, ქორეოგრაფი – **ჟანა ბენიძე**), რომელსაც ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები: საქართველოს პარლამენტის წევრი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი **ცოტნე ზურაბიანი**, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **გენადი მარგველაშვილი**, წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **მამუკა ჩხეტიანი**, ქალაქის გამგებელი **გრიგოლ იოსელიანი**, გამგებლის მოადგილე **ალექსანდრე დადუნაშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარე **გიზო ივანეიშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **პაატა ახალაძე**, ოტია იოსელიანის ვაჟი **დაჩი იოსელიანი**, ქალაქის კულტურის სამსახურის წარმომადგენელი – **ლილი გელენიძე**, ქალაქის მუზეუმის თანამშრომლები, პროფესორი, კარდიოლოგი **გია შელია** და სხვები.

ტრადიციად დამკვიდრდა სტატუსი „პირველი სკოლის საპატიო კურსდამთავრებული“, რომელიც მიენიჭათ: **ოტია იოსელიანს, გიზო ივანეიშვილს, ნათელა ბაზაძეს, ანზორ ბაბუნაშვილს**; პირველი სკოლისადმი მაღალი მოლოდინებისა და მრავალწლიანი თანამშრომლობისათვის საპატიო სიგელი გადაეცა ქალაქ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს, **მამუკა ჩხეტიანს** და სკოლის საიუბილეო წიგნის ავტორს, **ციალა ღვინიანიძეს**.

აღნიშნულმა პროექტმა კიდევ უფრო აამაღლა სკოლის ავტორიტეტი, ხელი შეუწყო თემის ინფორმირებულობას და ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. მოსწავლეები გაეცნენ სკოლის ისტორიას, ღვაწლმოსილ ადამიანებს. 24 ნოემბრის დღე დიდხანს დარჩება ყველა პირველსკოლელის მეხსიერებაში, როგორც სასიამოვნო, მშვენიერი, ამაღლებული და ტკბილად მოსაგონარი.

დოდო ხაჩიძე
სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე

ინკლუზიური განათლება

რთული ქცევის მართვის საფეხურები

ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ინკლუზიურიᲗ განათლება ასევე გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას. მაგრამ, როგორც ნებისმიერი სიახლე, ინკლუზიური განათლების მოდელით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა თუ პროფესიულ სასწავლებლებში, არ წარმოადგენს მარტივ პროცესს. ის საჭიროებს ახალი რეგულაციების შემუშავებასა და გამოყენებას როგორც პოლიტიკის, ასევე პრაქტიკის დონეზე. მოდელის შემდგომი სრულყოფისთვის კი, აუცილებელია უკვე შესრულებული საქმიანობის ეფექტურობის და შეფასების საფუძველზე, საჭირო ცვლილებების განხორციელება.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც საუბარი იყო ინკლუზიურ განათლებაზე, იგულისხმებოდა საგანმანათლებლო პროცესში მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირების ჩართვა. აქცენტი გადატანილი იყო კონკრეტული ჯგუფებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნაზე, მათ მიმართ ინდივიდუალური მიდგომის განხორციელებაზე. დღესდღეობით, ინკლუზიური განათლება გულისხმობს ხარისხიან, შედეგზე ორიენტირებულ განათლებას, როდესაც ყველა მოსწავლე ჩართულია სასწავლო პროცესში და აქვს თვითრეალიზაციის საშუალება. მთავარი პრინციპი, რომელიც სასწავლო პროცესს ყველასათვის ხელმისაწვდომს ხდის, არის ინდივიდზე ფოკუსირებული და დიფერენცირებულ ინსტრუქციებზე აგებული მიდგომები – გარემო მხოლოდ ამ შემთხვევაშია ინკლუზიური.

ინკლუზიური განათლების პროცესი ეყრდნობა რამდენიმე ფუნდამენტურ ღირებულებას:

✓ **განსხვავებულობა არის ნორმა –** არ არსებობს ორი მოსწავლე იდენტური სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით, ინტერესებით, განწყობითა თუ აკადემიური უნარებით. შესაბამისად, მოზარდის ინდივიდუალური შემეცნება, პირველ ყოვლისა, მისი განსხვავებულობის აღიარებით იწყება. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს:

1. განსხავებულობა მოსწავლეთა შორის ბუნებრივი მოვლენაა და განსხვავებულობის პატივისცემა ყველაზე მთავარი პრინციპია ინკლუზიურ განათლებაში.

2. დიფერენცირებულ მიდგომასა და ინდივიდუალურ სწავლებას დიდი დრო და ანალიზი სჭირდება, რათა პასუხი გაეცეს უმნიშვნელოვანეს კითხვას – რა არის ის კომპონენტი, რომელიც ყველაზე მეტ გავლენას ახდენს სწავლის პროცესზე.

✓ **ჯანსაღი საზოგადოების შენების ხელშეწყობა –** ინკლუზიური განათლება კარგად ორგანიზებულ სასწავლო პროცესს გულისხმობს და ხშირად გვაძლევს საშუალებას, მინიმუმამდე დავიყვანოთ მოსწავლის მიერ სკოლის მიტოვების რისკი. თუ ჩვენ მოქნილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შევადგენთ, დახმარებას ვთხოვთ სპეციალისტებს, შევქმნით ადაპტირებულ სასწავლო გარემოს, შევადგენთ ინდივიდუალურ გრაფიკს, შედეგად მივიღებთ საზოგადოების წევრებს, რომლებსაც შეეძლებათ ღია შრომით ბაზარზე თავის დამკვიდრება.

✓ **დინამიზმი, ინოვაცია და ცვლილებების განხორციელება –** ინკლუზიური განათლება დაუსრულებელი პროცესია და გამუდმებულ ცვლილებებს უკავშირდება, როგორც საკანონმდებლო, ისე სკოლის დონეზე. დინამიზმი ერთ-ერთია იმ ფაქტორთაგან, რომლებიც სკოლაში ინკლუზიური გარემოს შექმნას განაპირობებენ. ქვემოთ მოცემულია ცვლადები, რომელთა შერწყმაც ხელს უწყობს ცვლილებების განხორციელებას და საგანმანათლებლო კონტექსტში ინკლუზიური განათლების პროცესის ორგანიზებას (Thousend& Villa, 1995)

მნიშვნელოვანი ცვლადები					
ხედვა	უნარი	სტიმული	რესურსები	სამოქმედო გეგმა	ცვლილება
.....	უნარი	სტიმული	რესურსები	სამოქმედო გეგმა	დაბნეულობა
ხედვა	.....	სტიმული	რესურსები	სამოქმედო გეგმა	შიში, პანიკა
ხედვა	უნარი	.....	რესურსები	სამოქმედო გეგმა	წინააღმდეგობა
ხედვა	უნარი	სტიმული	.....	სამოქმედო გეგმა	იმედგაცრუება
ხედვა	უნარი	სტიმული	რესურსები	.....	განვითარების ერთსა და იმავე საფეხურზე შეჩერება

მოყვანილი ცხრილის მიხედვით, თუკი სასკოლო კულტურა მოიცავს **ხედვას განათლების ინკლუზიურობის** შესახებ, ასევე სკოლაში არის **შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი,** თუ ადმინისტრაციას აქვს მუშაობის **წახალისებისა და პოზიტიური განმტკიცების** გამოცდილება და ინკლუზიური განათლების განვითარების კონკრეტული **სამოქმედო გეგმა,** შესაძლებელი ხდება პროცესის რეალურად განხორციელება და ცვლილება. როდესაც რომელიმე რელევანტური ცვლადი საერთო პროცესიდან ამოვარდნილია, სასურველი შედეგის მიღწევა რთულდება. **ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნისათვის სკოლას ესაჭიროება: შესაბამისი ხედვა, კონკრეტული სამოქმედო გეგმა, სტიმული, რესურსები და კვალიფიციური კადრები. ყველა ეს კომპონენტი ხელს უწყობს დიფერენცირებული მიდგომის შემუშავებას.**

სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს რთული ქცევის მართვა. გთავაზობთ რთული ქცევის მართვის საფეხურებს, რაც დაგეხმარებათ საგაკვეთილო პროცესში მართოთ მოსწავლეთა მხრიდან გამოვლენილი რთული ქცევა.

დასაწყისში გთავაზობთ რამდენიმე ტერმინის განმარტებას, რომელიც სტატიის უკეთ აღქმას შეუწყობს ხელს:

ქცევა არის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება. ნებისმიერ ქცევას აქვს მაპროვოცირებელი ფაქტორები, იგივე წინაპირობა;

ქცევის წინაპირობა – იგივე მაპროვიცირებელი ფაქტორი, ეს ისეთი ფაქტორებია, რომლებიც რთულ ქცევას უშუალოდ ბიძგს აძლევს;

რთული ქცევის შემანარჩუნებელი ფაქტორები – ეს არის რთული ქცევის ისეთი შედეგი, რომელიც რთული ქცევის მოსწავლისთვის სასურველია. მაგ: მოსწავლე თუ გაკვეთილზე გვერდით მჯდომ თანაკლასელს თმაში ექაჩება იმის გამო, რომ გარეთ გააძევონ (მასწავლებელი რომ გარეთ აგდებს გვერდით მჯდომი მოსწავლის თმაში მოქაჩვის გამო, ეს გარეთ გაძევება საკლასო სივრციდან რთული ქცევის უშუალო შედეგია). ასეთი შედეგი ინარჩუნებს რთულ ქცევას, ანუ ხელს უწყობს მის შემდგომ აღმოცენებას, რადგან ამ შედეგით კმაყოფილდება მოსწავლის მოთხოვნილება;

რთული ქცევის დამბლოკავი ფაქტორები – ეს ისეთი ფაქტორებია, რომლებიც რთულ ქცევას ბლოკავს და გამოვლენის საშუალებას არ აძლევს. ეს ფაქტორები ინდივიდუალურია ყოველი რთული ქცევისთვის, მაგ: ერთ შემთხვევაში, შეიძლება იყოს მოსწავლის უნარებზე მორგებული გამარტივებული დავალება, რომელიც შესასრულებლად მცირე დროს მოითხოვს და ა.შ.

საფეხური პირველი: **რთული ქცევის იდენტიფიცირება**

• ფონური/პირველადი დაკვირვების წარმოება რთულ ქცევაზე (ფონური დაკვირვების დროს ვაკვირდებით მოსწავლეს ყველა გაკვეთილზე).

• ფონური დაკვირვების საფუძველზე, მოსწავლის რთული ქცევების ჩამონათვალის შემუშავება (დაკვირვების პროცესში ვიწერთ მოსწავლის მიერ გამოვლენილ ყველა რთულ ქცევას).

• რთული ქცევის ზემოხსენებული ჩამონათვალიდან სამიზნე რთული ქცევის შერჩევა (რთული ქცევების ჩამონათვალიდან ვირჩევთ ერთ რთულ სამიზნე ქცევას).

• შერჩეული სამიზნე ქცევის განმარტება, ანუ აღწერა მარტივი სიტყვებით (განმარტება არ შეიცავს შეფასების შემდეგ სიტყვებს, მაგ: ყოჩაღი, ცუდი, აგრესიული და ა. შ. ქცევა უნდა იყოს დეტალურად აღწერილი, მაგ: გიორგი ისვრის საწერ კალამს მასწავლებლის მიმართულებით).

• შერჩეული სამიზნე რთული ქცევისთვის კოდის მინიჭება (კოდირება), ანუ სამიზნე ქცევის რაიმე სიმბოლოთი აღნიშვნა (მაგ: გიორგი ისვრის საწერ კალამს მასწავლებლის მიმართულებით, ვანიჭებთ სიმბოლოს – x, გაკვეთილის მსვლელობის დროს გამოვლენილი რთული ქცევის შემთხვევაში ვაკეთებთ ჩანაწერს მხოლოდ მინიჭებული სიმბოლოს სახით).

• სამიზნე რთულ ქცევაზე დასაკვირვებელი მახასიათებლის შერჩევა (აღნიშნულ შემთხვევაში, ვაკვირდებით ქცევის **სიხშირეს** – რამდენჯერ გამოვლინდა, **ხანგრძლივობას** – რამდენ ხანს მიმდინარეობს, **ინტენსივობას** – რამდენად ძლიერადაა გამოხატული; **ლატენტობას –** ქცევებს შორის დროის მონაკვეთს – ერთი ქცევის განხორციელებიდან მეორე ქცევის წარმოშობამდე).

პირველი საფეხურის გავლის შემდეგ, ჩვენ უკვე გვექნება გამოვლენილი ერთი ან რამდენიმე რთული ქცევა. ვირჩევთ ერთ, ჩვენთვის სასურველ, რთულ ქცევას და ვაანალიზებთ.

საფეხური მეორე: **სამიზნე რთული ქცევის ანალიზი**

• პირველ რიგში ვწერთ, რამდენი ხანი და რომელ გაკვეთილზე ვაკვირდებოდით სამიზნე რთულ ქცევას და თითო საგანს რამდენჯერ დავესწარით.

• შემდეგ ეტაპზე იწერება გამოვლენილი სამიზნე რთული ქცევის სიხშირე (ამისთვის კი, აუცილებელია შევადგინოთ ცხრილები, სადაც ცალკ-ცალკე იქნება მოცემული სიხშირის ცხრილები ყველა საგნისთვის და დაკვირვების ყველა სესიისთვის).

• ცხრილში წარმოდგენილი ქცევითი მონაცემების მიხედვით ვაგებთ გრაფიკს, რომელიც ქმნის ერთგვარ სურათს.

• გრაფიკის ანალიზი უნდა მოხდეს ცალკეული საგნების მიხედვით. ანალიზის ამ საფეხურზე დაგვჭირდება წინაპირობა.

• შედეგების ცხრილი (წინაპირობა – შედეგები უნდა იყოს ბევრი და წარმოდგენილი ცალკ-ცალკე საგნების მიხედვით. წინაღმდეგ შემთხვევაში, ანალიზისთვის საკმარისი ინფორმაცია არ გვექნება და ვერც ქცევაზე ჩარევას დავგეგმავთ სწორად).

• ცალკეული საგნების მიხედვით რთული ქცევის გამოვლენის ანალიზს – კონტექსტის ანალიზს, ებმის რთული ქცევის მაპროვოცირებელი, შემანარჩუნებელი და დამბლოკავი ფაქტორების ანალიზი.

საფეხური მესამე: **რთულ ქცევაზე ჩარევის გეგმა – ინტერვენცია**

• სასურველი და ჩამანაცვლებელი სიტყვები უნდა გამოიყოს და უნდა განვმარტოთ, ანუ აღვწეროთ მარტივი სიტყვებით, ყოველგვარი ინტერპრეტაციების გარეშე.

• განმამტკიცებლების მენიუ და სასურველი ქცევის განმტკიცების სტრატეგიები და პროცედურა (ვინ, როდის, სად მისცემს ამა თუ იმ განმამტკიცებელს, ასევე, რა შემთხვევაში შეუძლია მოსწავლეს განმამტკიცებლის მიღება და განმამტკიცებლის პროცედურის გამოხშირვა).

• ჩარევა რთული ქცევის წინაპირობაში (რთული ქცევის მაპროვოცირებელი ფაქტორების მოხსნა).

• ჩარევა რთულ ქცევაში (ანუ რთული ქცევის შედეგი უნდა შეიცვალოს).

• ანალიზის შედეგად გამოვლენილი დამბლოკავი ფაქტორები უნდა გამოვიყენოთ ჩარევის დროს და ეტაპობრივად გავაძლიეროთ.

გაითვალისწინეთ, რომ რთულ ქცევაზე ინტერვენციის გეგმაში უნდა გამოიყენოთ რთული ქცევის ანალიზით მოპოვებული ინფორმაცია.

ჩარევა იგეგმება რთული ქცევის მიზნის გათვალისწინებით. ჩვენ უნდა ვასწავლოთ მოსწავლეს, როგორ დაიკმაყოფილოს სოციალურად მისაღები სასურველი ქცევებით იგივე მოთხოვნილება, რომელსაც რთული ქცევით იკმაყოფილებს.

მაქსიმალურად უნდა მოვხსნათ რთული ქცევის მაპროვოცირებელი და შემანარჩუნებელი ფაქტორები, ასევე უნდა გავაძლიეროთ რთული ქცევის დამბლოკავი ფაქტორები.

კახა გალდავა
სსიპ სამტრედიის მე-15 საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი, ისტორიკოსი, ა/რ პედაგოგთა კავშირის „განათლება და სამყარო“ ტრენერი

ახალი ამბები

თსუ-ს გუნდი გამარჯვებულია

პირველი ადგილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ლტოლვილთა სამართლის საერთო ევროპული იმიტირებული სასამართლო პროცესების შეჯიბრში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა დაიმსახურა. შეჯიბრის ფინალს 2017 წლის 21-25 ნოემბერს ლუბლიანას უნივერსიტეტმა (სლოვენია) უმასპინძლა. თსუ-ს გუნდმა ამ საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობა პირველად მიიღო და საერთაშორისო იმიტირებული პროცესების ფინალური რაუნდიც, ასევე, პირველად მოიგო.

გუნდი საერთაშორისო სამართლის მიმართულების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს – **სალომე შუბლაძეს**, **რევაზ ტყემალაძესა** და **დავით ჯავახიშვილს** აერთიანებს. საერთაშორისო შეჯიბრში გუნდურად გამარჯვებასთან ერთად, რევაზ ტყემალაძემ კონკურსის საუკეთესო გამომსვლელის ჯილდოც დაიმსახურა.

იმიტირებული პროცესების ფარგლებში, გუნდი კომპეტენტური ჟიურის წინაშე წარდგა – წინასწარი საკვალიფიკაციო რაუნდის (სულ 4 გამოსვლა) შემდეგ – ნახევარფინალურ და ფინალურ რაუნდებში (2 გამოსვლა). სადავო საკითხები შეეხებოდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა: ომის წარმოების მეთოდები და საშუალებები, შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსი, ომის დანაშაულები, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპეტენცია და სხვ.

გუნდი მომზადდა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის პროფესორებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობით, კერძოდ პროფესორ **ქეთევან ხუციშვილის**, რომლის სახელსაც უშუალოდ უკავშირდება თსუ-ში ლტოლვილთა სამართლის დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინად შემოღება, ასევე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ლექტორების – **ნათია კალანდარიშვილის**, **საბა ფიფიას** და ინსტიტუტის დოქტორანტის, **ონისიმე ცხომელიძის** მიერ. თსუ-ს გუნდის კონკურსში მონაწილეობის ინიციატორია აკადემიკოსი **ლევან ალექსიძე**, მანვე უზრუნველყო საერთაშორისო რაუნდში მონაწილეობისთვის გუნდის გამგზავრება.

საერთაშორისო ჰუმანიტარული და ლტოლვილთა სამართლის საერთო ევროპული იმიტირებული სასამართლო პროცესების ორგანიზატორები არიან: წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, გაეროს უმაღლესი კომისარიატი ლტოლვილთა საკითხებში, სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლო და ლუბლიანას უნივერსიტეტი. შეჯიბრში მონაწილეობდნენ სამართლის სკოლები ევროპული უნივერსიტეტებიდან. საერთაშორისო რაუნდში მონაწილეობისთვის შერჩეული 12 გუნდიდან თსუ-ს გუნდმა წარმატებით გაიარა საკვალიფიკაციო ეტაპი და საერთაშორისო რაუნდში გამარჯვებაც მოიპოვა.

საუბრები ლიტერატურაზე

ღვთის ბაძვის პრობლემა „შუშანიკის წამებაში“

პრობლემის დაყენება და მისი არსი

მსოფლიო ლიტერატურაში არსებობს ღვთის (ქრისტეს) ბაძვის პრობლემა. იგი რელიგიურ-ლიტერატურული ხასიათისაა, ოღონდ უფრო მეტად ლიტერატურული, რადგან სიტყვაკაზმული მეტყველების ნირსა და ხასიათს უფრო განსაზღვრავს და სახე-ხატის თავისებურებას განაპირობებს. პრობლემა, ასევე, აქტუალურია ქართული ლიტერატურისთვისაც, ვინაიდან იგი ჯერჯერობით არავის დაუსვამს და გადაუწყვეტია. აღნიშნული საკითხის გადაჭრა კი უფრო ცხადად წარმოგვიჩენდა ქართული ლიტერატურის ხასიათსა და არსს, მრავალ საკითხს სრულიად ახალ განათებას მიანიჭებდა. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ჩვენი ეროვნული მწერლობა ქრისტიანულ საფუძველზეა აღმოცენებული და განვითარებული. უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ავტორებიც ქრისტიანები იყვნენ.

ღვთის (ქრისტეს) ბაძვა ეროვნული მწერლობის უმთავრეს იარაღს – ანბანსაც დასტყობია. არც ესაა გასაკვირი, თუ აკად. თამაზ გამყრელიძის თეორიას მივიღებთ, რომლის მიხედვითაც, ქართული დამწერლობა ქრისტიანობის შემდგომ (337წ.) წარმოქმნილად არის ნავარაუდევი (თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1990).

პირადად მე ამ თვალსაზრისს ვეყრდნობი. თუ ეს ასეა, მაშინ საყურადღებო უნდა გამოდგეს ჩვენი ერთი დაკვირვება.

ქრისტესადმი ბაძვა გამოვლენილია თვით ჩვენი ანბანის გრაფიკულ ბუნებაშიც. ქართული ანბანი სამ ზონას, შრეს მოიცავს – ზედას, შუალასა და ქვედას. სიმბოლიკის დონეზე ეს ნიშნავს: ზედა = ზეცას, შუალა = დედამიწას, ქვედა = ქვესკნელს. ზოგი ასო მხოლოდ შუათანა ზოლს იკავებს, მაგალითად: ა, ი, ო, თ...



ზოგი ასო შუა და ზედა ზოლს მოიცავს, მაგალითად: ნ, მ, რ, ს, პ...



ზოგი კი შუა და ქვედა სფეროს იკავებს, მაგალითად: ე, დ, კ, ტ...



სხვა ვარიანტი არ არსებობს. მთელი ქართული ანბანიდან მხოლოდ <u>ერთადერთი</u> ასო მოიცავს სამივე სფეროს ქ რ ი ს ტ ე ს მ ს გ ა ვ ს ა დ: ზეცასაც, მიწასაც და ქვესკნელსაც. ეს ასო გახლავთ სიტყვა ქ რ ი ს ტ ე ს პირველი ლიტერი „ქ“.



აქ ჩვენ საშუალება გვაქვს, დავაფიქსიროთ, თუ როგორ წარმოუდგენია ძველ ქართულ მწერლობას ქრისტეს ყოვლისმომცველი ბუნება სივრცის სამ განზომილებასთან მიმართებით. ამაზე მეტყველებს მაგალითი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“. აშოტ კურაპალატი საყვედურობს საბა იშხნელს, რომ იგი პირველ დაძახებაზევე არ ეახლა გვირგვინოსანს. ამ ბრალდებაზე საბა ეუბნება: *„დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტეი <u>ზეცისა</u> და <u>ქუეყანისა</u> და <u>ქუესკნელთა</u>“* (გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქართული პროზა, I, გვ.253).

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ასო „ქ“-ს თავდაპირველი მოხაზულობა სწორედ ჯვრის ფორმისა ჰქონია: „ϯ“. ასო „ქ“-ს მეტად ჰგავს ასო „ჯ“. არც ესაა შემთხვევითი. „ჯ“ გახლავთ ჯ ვ რ ი ს პირველი ლიტერი. ოღონდ „ჯ“ მხოლოდ ორ სფეროს მოიცავს – შუალასა და ქვედას.



ამ ორი ასოს მსგავსება სავსებით კანონზომიერია, რამეთუ ჯ ვ ა რ ი და ქ რ ი ს ტ ე ქრისტიანი კაცის შემეცნებაში განუშორებელი ცნებებია.

ახლა გასაგებია, თუ რა ვითარება გვექნება ქართულ ქრისტიანულ ლიტერატურაში ქრისტეს ბაძვის თვალსაზრისით, როცა ვხედავთ, რომ სიტყვაკაზმული მწერლობის ძირითად იარაღში, ანბანის გრაფიკულ გაფორმებაშიც, ვლინდება ღვთისადმი ბაძვის ელემენტები.

რაკიღა წამოყენებული პრობლემა ღვთის ბაძვას შეეხება, ბუნებრივია, ზოგი რამ ითქვას ცენტრალური ტერმინის, ბ ა ძ ვ ი ს, თაობაზე. ეჭვი არაა, აქ უნდა მოვიხსენიოთ პლატონი და არისტოტელე, ავტორები, რომლებმაც ბ ა ძ ვ ი ს საგანგებო თეორიები შეიმუშავეს. ბაძვის თავისებური თეორია შეიმუშავეს ქრისტიანებმა. ბუნების ნაცვლად, მისაბაძ საგნად მათ ქრისტე აღიარეს. ეს იდეა, როგორც ჩანს, პირველად სახარებაში შეიმუშავეს.

ღვთის ბაძვის საკითხი ახალ აღთქმაში

ღვთის მიბაძვა საყურადღებოდ და საინტერესოდაა წარმოჩენილი ახალ აღთქმაში, როგორიცაა „სახარება“, „მოციქულთა წიგნები“ და სხვ. ბაძვის საგანია იესო ქრისტე, რომლის კეთილ სქმეებსაც თვალსაჩინოდ გვისურათხატებს ჯერ მათე, ლუკა და იოანე, ხოლო შემდგომ ღვთის მოციქულები: პეტრე, იაკობი და სხვანი. ისინი მოუწოდებენ ხალხს, შეითვისონ ჩვენი მაცხოვრის ზნეკეთილი ღვაწლი და მიბაძონ მას. როცა ქრისტეს ბაძვას ქადაგებდნენ, სხვა მიზანიც ამოძრავებდათ: ახალი რწმენის მიმდევართა მიდრეკილების განმტკიცება და ქრისტიანობის გავრცელება თვალსაჩინო ნიმუშის, ეთიკური და ზნეობრივი მაგალითის, მიხედვით. მოვიყვანოთ ამის დამადასტურებელი ადგილები „სახარებიდან“, ანუ „ოთხთავიდან“, სხვანაირად რომ ვთქვათ, „ევანგელედან“:

მათე 10, 38: *„რომელმან არა აღიღოს ჯუარი თვისი და მომდევდეს მე, იგი არა არს ჩემი ღირსი“.*

იოვანე 8,12: *„მერმეცა ეტყოდავე იესუ და ჰრქუა მათ: მე ვარ ნათელი სოფლისაი, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისაი“* და სხვ.

ახლა ვნახოთ, თუ რას ამბობენ ამის შესახებ მოციქულები:

მოციქული პეტრეს პირველი წერილი, თ.I, 15-16: *„არამედ როგორც წმინდაა თქვენი მხმობელი, თქვენც წმინდანი იყავით ყველა თქვენი მოქმედებისას. ვინაიდან დაწერილია: წმიდანი იყავით, რადგან მე წმიდა ვარ!“*

პირველი კორინთელთა მიმართ, II: *„ჩემი მომბაძავნი იყავით, როგორც მე ვბაძავ ქრისტეს“.*

ეფესელთა მიმართ, 5 თ., I: *„მაშ, როგორც საყვარელმა შვილებმა, მიბაძეთ ღმერთს“* და სხვ .

შემთხვევითი როდია, რომ ახალი აღთქმის ძეგლებში ხშირად შევხვდებით ასეთი სახის გამოთქმებს: *„ემსგავსებით ქრისტესა“, „მიემსგავსეთ ქრისტეს“, „შეუდექით კუალსა ქრისტესა“* და სხვ.

ღვთის ბაძვა ქართულ სასულიერო მწერლობაში

ჩვენ მიერ წამოჭრილი პრობლემა – ქრისტეს ბაძვა – საჩინოდაა წარმოდგენილი ქართულ სასულიერო მწერლობაში. *„სასულიერო მწერლობის შეუსწავლელად ვერ გავითვალისწინებთ ქართული მწერლობის ისტორიას“* (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ.13) და, თუ არ ვიცით დანყებითი საქრისტიანო ლიტერატურა და იქ წამოჭრილი საკითხები, ვერ განვსაზღვრავთ სასულიერო მწერლობის ხასიათს.

რას ემსახურებოდა, რა იდეის გამტარებელი იყო ქართული სასულიერო მწერლობა? ეს ის სიტყვაკაზმული ხელოვნებაა, რომელიც საინტერესოდ და მაღალმხატვრულად ესაუბრებოდა ხალხს, არწმუნებდა მას, რომ ქრისტეს მიერ განვლილი გზა არის ჭეშმარიტი გზა, გზა მიმავალი ტაძრისაკენ. სწორედ ეს მწერლობა უწევდა აგიტაცია-პროპაგანდას ქრისტიანობის გავრცელებას, ხოლო შემდეგ მის გამყარება-განმტკიცებას ქართველ ხალხში. რადგანაც ეკლესიის წარმომადგენლები, მწერლები ამ ერთადერთი იდეით იყვნენ განმსჭვალული, რა თქმა უნდა, მათ თავიანთ ნაკალმარშიც ასახეს ეს პრობლემა, რამეთუ ლიტერატურა ცხოვრების სარკეა და *„მხოლოდ მის სახეს გვიჩვენებს, რასაც შიგ ჩაუხედია“* (აკაკი).

როგორც ვიცით, აგიოგრაფია სასულიერო მწერლობის ის ჟანრია, რომელშიც აღწერილია ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებულ პირთა მარტვილობა. აგიოგრაფოს მწერალს ნანინანატრ ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, გერგილიანად წარმოეჩინა ქრისტიანობისათვის თავდადებული ხალხის ძიება. მის მიერ განვლილი გზა „სახედ და ხატად“ დაეგდო ამ რელიგიის მიმდევართათვის, ე.ი. ქართველი მორწმუნეებისათვის დაეხატა ნიმუში, ხატი, მსგავსი იესო ქრისტესი.

ახლა უპრიანია, ჩვენთვის საყურადღებო ასპექტით მიმოვიხილოთ აგიოგრაფია, ზოგადად, შევადაროთ იგი ბიბლიურ წიგნებს.

„აგიოგრაფიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიმბოლოს და ეს იმიტომ, რომ სიმბოლო „სოფლისა“ და „ზესთასოფლის“ შემაერთებელია. ეს კი აგიოგრაფიის მიზანთა მიზანია. ყველაფერი სიმბოლურია: ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა, ყველა პერსონაჟი და მთელი ნაწარმოები“ (რ. სირაძე, ქართული მწერლობის პირველი ტომის ბოლოსიტყვა, გვ.690). ჩვენც სწორედ ეს გვაინტერესებს. განა „სახარებაშიც“ ასე არ არის? განა ქრისტეც, ჩვენი მაცხოვარი, სიმბოლურად, იგავებით არ ესაუბრება თავის მოწაფეებს; *„ამას ყოველსა ეტყოდა იესუ <u>იგავით</u> ერსა მას და თვინიერ იგავისა და არარას ეტყოდა მათ“* (მათე 13, 35).

პროფესორი რევაზ სირაძე აღნიშნავს: *„შუასაუკუნეობრივმა მწერლობამ ერთი პრინციპი დაამკვიდრა: ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ სულიერი ბუნებით უნდა ფასობდეს, მიუხედავად გარეგნული ბუნებისაო. ამიტომ აგიოგრაფიის <u>პერსონაჟთა სილამაზის ძებნა არაა მართებული</u>. ზოგჯერ ჩვენს აგიოგრაფიულ თხზულებებში გამონაკლისი შემთხვევები გვხვდება, მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ანდა „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“, როცა აღიწერება გრიგოლისა და ექვთიმეს გარეგნული მიმზიდველობა, მაგრამ უმეტესწილად საერთო წესი მაინც წესად რჩება“* (რ. სირაძე, ქართული მწერლობის პირველი ტომის ბოლოსიტყვა, გვ.686). სწორედ ასეთივე სურათია „ოთხთავშიც“. ვერც ერთ თავში, ვერც ერთ ეპიზოდში, ჩვენ ვერ ვიპოვით ქრისტეს ფიზიკურ აღწერილობას, მისი იერ-სახის დახასიათებას.

თუ თვალს გადავავლებთ აგიოგრაფიულ ნაწარმოებებს, დავინახავთ, რომ ქმნილებების ყველა გმირი ისწრაფვის სულის სრულყოფის, მისი აღზევებისაკენ. ამისთვის ისინი გვემენ ხორცს, რამეთუ, *„როცა ხორცი ჭკნება, სული ჰყვავის“*. ახლა ვნახოთ, არის თუ არა ანალოგიური ვითარება „ევანგელეში“. რა თქმა უნდა, არის, თანაც ამისათვის იბრძვის სანყისი და თავი ჭეშმარიტებისა თვით იესო ქრისტე. მან ხომ ძეხორციელის ცოდვები საკუთარ თავზე აიღო, არად ჩააგდო ხორციელი შეურაცხყოფა: გაშიშვლება, ჯვარცმა, ცემა და გვემა. ქრისტემ რწმენისათვის დათმენილ ტანჯვაში ამაღლებულობა დაინახა.

ახლა განვიხილოთ ჩვენამდე მოღწეული პირველი აგიოგრაფიული ნაწარმოები „შუშანიკის წამება“, რომელშიც ერთობ საინტერესოდ და კონკრეტულადაა ნაჩვენები ქრისტეს ბაძვის მომენტები და სიტუაციები. რა თქმა უნდა, შუშანიკი ცდილობდა, მიებაძა ღვთის ძისათვის, დამსგავსებოდა მას, რის დამადასტურებელი მაგალითებითაც სავსეა თხზულება. მას ამგვარ საქციელში ნაწარმოების ავტორი იაკობ ხუცესიც ეხმარებოდა, ხოლო ზოგჯერ ცურტაველი თავისი გმირის ქცევას საგანგებოდაც მიამგსგავსებდა მაცხოვრის მოქმედებას. ყოველივე ამას იაკობი იმიტომ აკეთებდა, რომ, როგორც პროფესორი გრიგერ ფარულავა ამბობს: *„ქრისტეს ცხოვრების გზა ჭეშმარიტი ცხოვრების ხიდი და პარადიგმაა მორწმუნისათვის“* (გრ. ფარულავა, ტანჯვის ქრისტოლოგიური გაგება და ეროვნული მწერლობა, ჟურნალი „ცისკარი“, 1992, №3, გვ.110).

ახლა მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითები ნაწარმოებიდან. თავდაპირველად ვნახოთ, არის თუ არა ქმნილებაში ზუსტად იმგვარივე სიტუაციები, როგორიც „სახარებაშია“.

როდესაც იესო ქრისტე პილატემ ხალხს გადასცა და ისიც ჯვარზე საცმელად წამოიყვანეს, ქრისტეს უკან ურიცხვი ხალხი მოსდევდა. ადამიანები ტიროდნენ და ღვთის ძეს იბრალებდნენ. ამ დროს მაცხოვარი მათკენ შებრუნდა და გაამხნევა, მოუწოდა, ეტირათ არა მისთვის, არამედ საკუთარი შვილებისა და თავიანთი თავისათვის. აი, ყოველივე როგორაა აღწერილი „ოთხთავში“: *„და შეუდგა მას სიმრავლეი ერისაი და დედებისაი, რომელნი ეტყებდეს და სტიროდეს მას. მიექცა მას იესუ და ეტყოდა: ასულნო იერუსალეიმისანო, ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ თავთა თქუენთა სტიროდეთ და შვილთა თქუენთა“* (ლუკა 23, 27-28). ზუსტად იმავე სცენას ვხედავთ „შუშანიკის წამებაში“. როდესაც ვარდანისი წამოიყვანეს *„უხამური და თმაგარდატეეებული“*, ნაცემი და ნაგვემი, მასაც ხალხი გაჰყვა უკან, ისინიც ტიროდნენ, იბრალებდნენ საწყალ მარტვილს. მამიკონიანის ასულმა კი ამაყად გამოხედა მათ და უთხრა, რომ მათ საკუთარი თავი შეიბრალონ, რომ შუშანიკისათვის ნუ ტირიან, არამედ ლოცვით მოიხსენიონ ის. აი, თუ როგორაა ყოველივე ზემოთქმული მოწოდებული ტექსტში: *„და მივიდოდა წმიდისა მის თანა ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისაი, სიმრავლეი ურიცხვი, რამეთუ უკუანა შეუდგეს, ხმაი აღემაღლა და ტიროდეს და იხახდეს ღაწუთა მათთა და საწყალობელად დასთხევდეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშანიკისთვის. ხოლო წმიდამან შუშანიკ უკმოჰხედა ერსა მას და ჰრქუა მათ: „ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომიხსენიეთ“* (ი. ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიკისა, ილია აბულაძის გამოცემა, ტფ., 1978, გვ.28).

როგორც დავინახეთ, სიტუაცია ზედმიწევნით იდენტურია. ნამდვილად ასე მოიქცა შუშანიკ დედოფალი თუ ავტორმა მიაწერა და მოუგონა მას ამგვარი საქციელი, ეს უკვე ამჯერად არ გვაინტერესებს, ყოველ შემთხვევაში, იაკობმა იგი „ქრისტესმიერ სიტუაციაში“ მოაქცია.

ახლა ვნახოთ მეორე ვითარება, კერძოდ ის მომენტი, როდესაც იესო ქრისტე გოლგოთაზე მიიყვანეს. სანამ ჯვარს აცვამდნენ, მოუტანეს ნაღველნარევი ღვინო. როცა ღვთის ძემ გემო გაუსინჯა, აღარ დალია, უარი თქვა: *„და მისცეს მას ძმარი ნაღვლითა შეზავებული და მი-რაი-იღო, არა უნდა სუმის“* (მათე 27, 34).

ყველასათვის კარგადაა ცნობილი „შუშანიკის წამების“ ერთი ეპიზოდი, კერძოდ, პურის ჭამის სცენა. დედოფალმა ჭამის დროს გემო არაფერს გაუსინჯა, თუმცა კი დიდი ხნის უჭმელი იყო. მაშინ ჯოჯიკის მეუღლემ გადაწყვიტა, ცოტაოდენი ღვინო მაინც ეგემებინა რძლისათვის. ამაზე შუშანიკი საშინლად „გა-ცაწყრა“, ჭიქაზე ხელი აუკრა და ღვინოც დაღვარა. *„ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართვა ღვინოი ჭიქითა და აიძულებდა მას, რაითამცა იგი ხოლო შესუა. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?“* და განჰყარა ხელი და ჭიქაი იგი პირსა შეალეწა და ღვინოი იგი დაითხია“ (მარტვილობაი შუშანიკის, გვ.19).

ყველაფერი დღესავით ნათელია. ვგონებ, არც განმარტებაა საჭირო. ამ ორ უმთავრეს სიტუაციას, მაგალითს, პირობითად ვუწოდოთ „ქრისტესმიერი სიტუაცია“. მაგრამ კვლავ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მაგალითებიდან გამოკვეთილად არ ჩანს, ნამდვილად აკეთებდა თუ არა ამას დედოფალი. იქნებ მას ამგვარი მოქმედება აზრადაც არ მოსვლია და ზემორე მოთხრობილი მხოლოდ და მხოლოდ ავტორის ფანტაზიის ნაყოფი იყოს? იბადება კითხვა: შუშანიკი ბაძავს თუ არა შეგნებულად იესო ქრისტეს? ცდილობს მიემსგავსოს მას, იმეტყველოს მასავით? აი, პასუხიც: ვარდანისმა კარგად იცის ბიბლიური წიგნები და განსაკუთრებით კი „სახარება“. იცის ის ეპიზოდიც, როდესაც იესო ქრისტე თორმეტ მოწაფეს სხვადასხვა რჩევა-დარიგებას აძლევს, მოძღვრავს მათ. ერთგან იგი ამბობს: რომელიმე ქალაქს თუ მიადექით, გამოიკითხეთ, *„ვინ ღირს იყოს“*. როცა შინ შეხვალთ, მოიკითხეთ იქ მყოფნი და თქვით: *„მშვიდობა სახლსა ამას“*. შემდეგ დასძენს: *„უკეთუ იყოს სახლი იგი ღირს, მოვედინ მშვიდობაი თქუენი მას ზედა; უკეთუ არა ღირს იყოს, მშვიდობაი თქუენი თქუენადვე მოიქეცინ“* (მათე 10,13).

ყოველივე ამის შემდეგ გავიხსენოთ ეპიზოდი „შუშანიკის წამებიდან“. როდესაც ვარსქენის მიერ გაგზავნილი კაცი დედოფალს მოკითხვას გადასცემს, მამიკონიანის ასული ბაძავს ქრისტეს, ახორციელებს მაცხოვრის რჩევას, გამოიძიებს ვითარებას და, ფაქტობრივად, ქრისტესმიერი სიტყვებით მეტყველებს: *„უკეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა. უკეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაი ეგე შენი შენდავე მოიქეცინ“* (ი. ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიკისა, ილია აბულაძის გამოცემა, ტფ., 1978, გვ.5).

როგორც ჩანს, შუშანიკ დედოფალს ზედმიწევნით სცოდნია „ევანგელე“. განა ტყუილ-უბრალოდ დაატარებდა მას ყველგან? პიტიახშის მეუღლემ კარგად უწყოდა ქრისტეს მოწოდება თუ გაფრთხილება; კარგად შეუგნია მას მაცხოვრის შემდეგი სიტყვები: *„ყოველმან რომელმან აღმიაროს ჩემდამი წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაისა. და რომელმან უვარმყოს მე წინაშე კაცთა, უვარ-ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაისა“* (მათე 10., 32-33).

როდესაც გამაზდეანებული ვარსქენი ბრალს სდებს მეუღლეს სარეცლის შებღალვასა და სახლის დაუკითხავად მიტოვებაში, შუშანიკი ასე იმართლებს თავს, იშველიებს რა ქრისტეს სიტყვებს: *„შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ ჰყავ და ცეცხლსა*

საუბრები ლიტერატურაზე

თაყვანის ეც. და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხგყავ“ (ი. ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიკისა, ილია აბულაძის გამოცემა, ტფ., 1978, გვ.13).

იესო ქრისტე ამბობს, რომ უმჯობესია, ღვთის სასუფეველში შეხვიდე ფეხმოკვეთილი, ხელმოკვეთილი ან თვალმოთხრილი, თუ რომელიმე მათგანი გაცდუნებს, ვიდრე სხეულის ეს ნაწილები მთელი გქონდეს, სულით კი წარწყმედილი იყო. ამ შემთხვევაში ჯოჯოხეთში მოხვდები. *„სადა-იგი მატლი მათი არა მოაკლდების და ცეცხლი არა დაშრტების“*. თითქმის ამასვე ეუბნება შუშანიკი მის გასამხნევებლად მისულ იაკობს, რომელიც ფრიად შეწუხდა, როცა მარტვილის წყლულებზე დამსხდარი მატლი იხილა: *„ხუცეს, ნუ მძიმე გიჩნ ესე, რამეთუ მუნ იგი მატლი უდიდეის არს და არა მოკუდების“*, შემდეგ კი მრისხანედ დასძინა: *„ხუცეს, რად მწუხარე ხარ? ვიდრე უკუდავთა მათ მატლთა შეჭმასა, უმჯობეის იყავნ ამათ მოკუდავთა შეჭმა აქავე ამას ცხორებასა“*.

ზემორე მოყვანილი მაგალითებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ შუშანიკი ქრისტეს ენით საუბრობს, ცდილობს, არა მარტო ქცევით წაბაძოს მას, არამედ საუბრითაც. ყოველივე ამას კი პირობითად „ქრისტესმიერი მეტყველება“ ვუწოდოთ.

„სახარების“ მთავარი გმირი იესო ქრისტე, მთელი მისი ხანმოკლე ცხოვრების მაძილზე, სხვათა ცოდვებს საკუთარ თავზე იღებდა, ეხმარებოდა სნეულებს, დავრდომილებს, კურნავდა ავადმყოფებს, აღადგენდა მკვდრებს. ამასვე მოუწოდებდა იგი თავის მოწაფეებს, მის მიმბაძველებს. როდესაც „მწყემსი კეთილი“ მოსწავლეებს მოძღვრავდა, ეუბნებოდა: *„უძლურთა განჰკურნებდით, მკუდართა ადგინებდით, კეთროვანთა განსწმედდით, ეშმაკთა განასხემდით; უსასყიდლოდ მიგიღებიეს, უსასყიდლოდ მისცემდით“* (მათე 10, 8). რა თქმა უნდა, „სახარების“ კარგად მცოდნე შუშანიკ დედოფალმა ესეც კარგად უწყის, მას კარგად შეუგნია ამ სიტყვების არსი, იცის, რომ აუცილებელია რჩევის პრაქტიკულად განხორციელება, რომ სწორედ ამგვარი საქმიანობის შედეგად მოხვდება ქრისტიანი ცათა სასუფეველში. სწორედ ამიტომაც შესდგომია მარტვილი ღვთის გზას. სატუსაღოში მორწმუნე დედოფალთან მიდიოდნენ ცოდვების მისატევებლად, განსაკურნად. წმინდა შუშანიკიც ჰკურნავდა მათ. *„და მიერითგან განითქუა ყოველსა ქართლსა საქმე მისი. და მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნათქუმეთა შესაწირვად და, რაი ვის უხმდა, მიემადლებოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისითა, რომელსაც მოსცემდა მას კაცთ-მოყუარე ღმერთი: უშვილოთა შვილი, სნეულთა კურნებაი, ბრმათა თუალთა აღხილვაი“* (ი. ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიკისი, ი. აბულაძის გამოცემა, გვ. 33-34). ასევე, მოარჩინა ნეტარმა შუშანიკმა ერთი სნეული მოგვი ქალი.

ერთ-ერთი პურის ჭამის დროს იესო ქრისტე ესაუბრებოდა მოწაფეებს, ჩვეულებისამებრ მოძღვრავდა მათ. მაცხოვარმა აიღო პური, აკურთხა და მისცა მათ, თან დასძინა, რომ ის მისი ხორცი იყო; შემდეგ ღვინო აკურთხა, რომელზედაც თქვა, რომ ის მისი სისხლია. შეჭამეს რა პური და შესვეს რა ღვინო, ისინი ეზიარნენ ქრისტეს ხორცსა და სისხლს, რითაც ნაწილობრივ გახდნენ იესოს შემადგენელი ნაწილები, ემსგავსნენ მას. *„და ვითარცა ჭამდეს იგინი, მოიღო იესუ პური, აკურთხა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თვისთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ, ჭამეთ: ესე არს ხორცი ჩემი. და მიიღო სასუმელი და ჰმადლობდა, მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგანი ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახალი აღთქუმისაი, მრავალთათვის დათხეული მისატევებლად ცოდვათა“* (მათე 26, 26-28).

შუშანიკ დედოფალი, როგორც ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფეთაგანი და მიმდევარი, ეზიარა ქრისტეს ხორცსა და სისხლს. როდესაც ნაცემ ქალს ყბა და ზოგი კბილი *„შთამუსრვილი“* ჰქონდა, იაკობმა ღვინოში დამბალი პური აგემა. *„მაშინ მივიღე მცირედ ღვინოი და პური დავალბე და მცირედ გემოი იხილა“* (მარტვილობა შუშანიკის, გვ.23). შემდეგ კი კვირიაკე დღეს *„ეზიარის ხორცსა და სისხლსა ქრისტეის ღმრთისა ჩუენისა“* (იგივე, გვ.38).

იაკობ ხუცესი ამსგავსებს თავის გმირს იესო ქრისტეს. დედოფლის სახეში, მის თითქმის ყოველ მოქმედებაში ხედავს ქრისტეს ნათელს, მის ხატს. ამიტომაცაა, ერთგან შუშანიკზე ამბობს: *„ვითარ შემიყვანა მცველმან მან, და ვიხილე ტარიგი იგი ქრისტეისი შუენიერად ვითარცა სძალი შემკული საკრველთა მათგან“* (იქვე, გვ.31). სწორედ ამგვარივე სიტუაციაა „სახარებაშიც“. იოანე ქრისტეს სახეში ხედავს თვით ღმერთს, მის გამომგზავნელს, მის მამას. *„და მიხედა იესუს, ვიდოდა რაი იგი და თქუა: აჰა ქრისტეი, ტარიგი იგი ღმრთისაი“* (იოანე 1, 36). როგორც დავინახეთ, იაკობ ხუცესი შუშანიკს თვლის ქრისტეს ტარიგად, ხოლო იოანე ნათლისმცემელი კი ქრისტეს მიიჩნევს ღვთის ტარიგად.

ციხეში სიკვდილის პირას მყოფი ვარდანისი ესაუბრებოდა ხალხს, ამცნობდა მას *„სლვად გ ზათა ღმრთისათა“* და ეუბნებოდა, რომ ადამიანთა ცხოვრება, როგორც მინდვრის ყვავილი, დაუდგრომელია, ამიტომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ვინც რა დათესა, საბოლოოდ იმას მოიმკის, ვინც გლახაკთა და ღარიბთათვის გასცა, იგი შეკრებს, მიიღებს სანაცვლოს. შემდეგ დედოფალმა დასძინა: *„და რომელმან წარიწყმიდოს თავი თვისი, მან პოოს იგი“* (მარტვილობა შუშანიკის, გვ.43). სწორედ ამგვარადვე არიგებს იესო ქრისტე თავის მოწაფეებს, ხალხს, როცა ამბობს: *„რომელმან მოიპოვოს თავი თვისი, წარწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს თავი თვისი ჩემთვის, მან პოოს იგი“* (მათე 10, 39).

სიკვდილის წინ, თავდადებული დედოფალი, თავის გამოსათხოვარ სიტყვებშიც იესო ქრისტეს იხსენიებდა, მადლობდა მას, ლოცავდა მინაზე დარჩენილთ და საუკუნო სიცოცხლეს უსურვებდა მათ. *„უკეთუ ღირს რაიმე ვარ უკანაისკნელი ესე მეათერთმეტე მოქმედი ვენახისაი, იყვენით ყოველნი კურთხეულ უკუნისამდე ჟამთა“* (ი. ცურტაველი, მარტვილობა შუშანიკის, გვ.44). საჭიროა აღინიშნოს ერთი ფაქტი: *„მეათერთმეტე მოქმედი ვენახისაი“* სწორედ ოთხთავიდან ამოღებული წინადადებაა. აი, როგორ არის ნათქვამი „ევანგელეში“: *„ხოლო მეათერთმეტესა ჟამსა განვიდა და პოვნა სხუანი მდგომარენი და ჰრქუა მათ: რაისა სდეგით თქუენ აქა დღე ყოველ უქმად? ხოლო მათ ჰრქუეს მას: არავინ დამიდგნნა ჩუენ. ჰრქუა მათ: წარვედით თქუენცა ვენახსა ჩემსა“* (მათე 20, 6-7).

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ქრისტეს ბაძვის მაგალითებით უხვია იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“. დედოფლის თითქმის ყოველი სიტყვა თუ ყოველი მოქმედება შეგვიძლია მივამსგავსოთ მაცხოვრის სიტყვასა და მოქმედებას. აღსანიშნავია, რომ ბაძვა, მიმსგავსება ხდება, ძირითადად, სამი ასპექტით: ეს არის „ქრისტესმიერი სიტუაცია“, ანუ იმგვარი მოქმედება ან მდგომარეობა, როგორიც „სახარებაშიც“ დასტურდება; „ქრისტესმიერი მეტყველება“, ე.ი. იესოს მაგვარი საუბარი და, მესამეც, სხვა იმგვარი საყურადღებო ფრაზებისა და სიტყვების მოხმარება „წამებაში“, რომლებიც სახარებაშია.

საბოლოო დასკვნა ამგვარია: შუშანიკი, ავტორთან ერთად, ბაძავს იესო ქრისტეს, ემსგავსება მას. ვარდანისი და იაკობი ამგვარი მოქმედებით სხვა მორწმუნეებს აჯერებენ შუშანიკის ქრისტესმიერობაში, ნიმუშს აძლევენ სხვა მორწმუნეებს, თუ როგორ უნდა გაიარონ პირველმოწამის წამებითა და დიდებით აღსავსე გზა. ჩვენ ვიცით, რომ, გარდა ორი ქართული რედაქციისა, არსებობს ორი სომხური ტექსტი „შუშანიკის წამებისა“. იბადება კითხვა: არის თუ არა სომხურ ვარიანტში დედოფლის იმგვარი ქცევები, მოქმედებები, მეტყველება, როგორიც ქართულშია, რითაც იგი მაცხოვარს ბაძავს. პასუხი ამგვარია: „შუშანიკის წამების“ სომხურ ვარიანტში საერთოდ არ შეინიშნება ამგვარი ეპიზოდები. უფრო მეტიც, სომხური რედაქციის მიხედვით, შუშანიკი არც კი ფიქრობს, მიემსგავსოს იესო ქრისტეს, მას წაბაძვის საგნად ღვთის ძე კი არ მიუჩნევია, არამედ საკუთარი წინაპრები, სხვა მორწმუნე მამები, როგორებიცაა: წმინდა საჰაკი, წმინდა რიფსიმე და სხვანი. ყოველივე ეს რომ ლიტონი სიტყვა არ გამოვიდეს, უპრიანია, ნათქვამის დასტურად მოვიშველიოთ მაგალითები სომხური რედაქციიდან. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ სომხური ტექსტით შუშანიკ დედოფალი კი არ ბაძავს ქრისტეს, კი არ მისდევს მის გზას, არამედ ზოგჯერ თითქოს ეკამათება კიდეც. მაგალითად, ერთგან მამიკონიანის ასული ამბობს: *„რაისა, უფალო, დასდეგ შორს და უგულებელს ჰყავ მხევალი შენი ჟამსა ოდენ ჭირისასა და განნირვისა და ძვირისასა?“* (ი. ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიკისა, ი. აბულაძის გამოცემა, გვ.11).

სხვაგან დედოფალი დასძენს, რომ იგი ებაძება თავის წინაპარ მამებს: *„მიმსგავსებითა მამათა მათ ჩემთასა“* (იქვე, გვ.18). ბოლოს კი დახმარებას შესთხოვს არა ღმერთს, არამედ წმინდა რიფსიმეს. *„და აწ გესავ შენ, რომელმან წმიდაი ჰრიფსიმე იხსენ მძლავრებისაგან მეფისა მის და სირცხვილეულ ჰყავ გმირი იგი“ (იქვე, გვ. 18). „სახელი და სული დაიმკვიდრე მსგავსად წმიდისა მის ჰრიფსიმეისა“* (იქვე, გვ.30).

ის ფაქტი, რომ სომხური რედაქცია არ იცნობს ქრისტეს ბაძვის მკაფიოდ გამოხატულ ტენდენციას, ზოგიერთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა:

ა) ქართული ტექსტი ამ ელემენტის გამოისობით გაცილებით უფრო ექსპრესიული და რელიგიურად მიზანსწრაფულია, რასაც ვერ ვიტყვით სომხურ ვარიანტზე. გლობალური შედარების ეს მაგალითი ქართულ ვარიანტს სძენს მაღალმხატვრულობას.

ბ) რაკიღა სომხურ ტექსტში არ ჩანს ქრისტეს ბაძვა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სომხებმა ქართული ტექსტი თარგმნეს ქართული და სომხური ეკლესიების განხეთქილების შემდეგ. საქმე ისაა, რომ სომხები გვერდს უვლიან ორბუნება ქრისტეს ბაძვის ელემენტს, რაკიღა თვითონ მონოფიზიტები გახდნენ. სახარებაში მკვეთრად არის გამოხატული ქრისტეს დიოფიზიტური არსი, მისი კაცებრივი და ღვთაებრივი ბუნება. და მაშინ, როდესაც ქართველები მთელი გრძნობით ლამობენ ქრისტეს ორბუნებრივ ქცევებსა და ხასიათს მიამსგავსონ შუშანიკის ქცევები და ხასიათი, სომეხი მონოფიზიტი ავტორები ამ მოვლენას ყრუდ უვლიან გვერდს.

გ) ცნობილია, რომ იესო ქრისტეს შესახებ, პირველმოწამის ღვაწლის თაობაზე, ოთხმა მახარებელმა შეთხზა ნაწარმოები. ამიტომაცაა, რომ სახარება გვაქვს ოთხ თავად, ოთხ დამოუკიდებელ ვარიანტად.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გამოითქვას ერთი ჰიპოთეზა: იაკობის თხზულება ადრე თარგმნეს სომხებმა. ამ თარგმანის, აგრეთვე ქართული წყაროს მიხედვით, გააკეთეს მოკლე სომხური რედაქციაც. მაშასადამე, გარკვეულ დრომდე შუშანიკის ამბავი არსებობდა სამ თავად, სამ დამოუკიდებელ ტექსტად. ამის შემდეგ ქართველი ავტორი ცდილობს იმითაც ნაბაძოს სახარება-ოთხთავის ტექსტს, რომ შუშანიკის შესახებაც არსებობდეს ოთხი ტექსტობრივი ვარიანტი, ისე როგორც ეს პირველმოწამის შესახებ გვაქვს. და აი, იქმნება ტექსტის მეოთხე ვარიანტი (მოკლე სომხური ვარიანტის ქართული თარგმანი). მაშასადამე, ქართველი ავტორები დაჟინებით ცდილობენ შუშანიკის წამების აღწერისას ქრისტეს ბაძვის იდეის გატარებას.

ქეთევან თავდიშვილი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, შპს საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი-ელ-სის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სასკოლო აქტივობა

ოქროსფერი შემოდგომა

219-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – **შალვა ხუციშვილი**) დილიდანვე საზეიმო განწყობა სუფევდა. ფუსფუსებდა დიდი თუ პატარა, მასწავლებელი თუ მოსწავლე, ემზადებოდნენ და ხალისით რთავდნენ კლასებს, რათა მათი გამოსვლა უფრო შთამბეჭდავი ყოფილიყო.

უკვე ორი ათეული წელია, ტრადიციად იქცა ჩვენს სკოლაში შემოდგომის ღონისძიების აღნიშვნა. გამონაკლისი არც ეს წელი ყოფილა და დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა, I-V კლასის ჩათვლით, წარმოადგინეს საქართველოს სხვადასხვა კუთხე მათთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებითა და იუმორით.

I კლასის მასწავლებელმა **ნანა ქაცანაშვილმა** წარმოადგინა კახეთი, დევიზით „კახეთო, ჩემო კახეთო“; II^{ა} კლასის მაწავლებელმა **ნინო ტაკაშვილმა** – „რაჭა ჩემი სიყვარული“; II^{ბ} კლასის მასწავლებელმა **ნანა კუპრაშვილმა** – „იმერეთო, ჩემო იმერეთო“; III კლასის მასწავლებელმა **მედეა ზურაბაშვილმა** – „ჩვენ გვიყვარს აჭარა“; IV კლასის მასწავლებელმა **სალომე ნიკოლიშვილმა** – „მე მიყვარს ქართლი“; V კლასის მასწავლებელმა **ციცი ფიფაიშვილმა** – „სიცოცხლის სამოსახლოა ჩემი პატარა გურია“.

მოსწავლეებმა ხალისითა და დიდი მონდომებით შეასრულეს ნომრები: სადღეგრძელო, სიმღერა, ცეკვა, ლექსი და სკეტჩი, ეცვათ კუთხისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ფორმები, რაც უფრო ლამაზს და საინტერესოს ხდიდა ღონისძიებას „ოქროსფერი შემოდგომა“.

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა

უფლის სიყვარული გადაგვარჩენს

28 ნოემბერს, სამების ტაძრის საგამოფენო დარბაზში, ჩატარდა შემოქმედებითი საღამო ეგიდით „უფლის სიყვარული გადაგვარჩენს“, რომელიც პოეტ გენო კალანდიას პატრიარქისადმი მიძღვნილი გულში ჩამწვდომი წერილით დაიწყო. საღამოში, რომელიც მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის დაბადებიდან 84-ე და აღსაყდრებიდან მე-40 წლისთავს, მონაწილეობდნენ: აფხაზეთის ხელოვნების სხვადასხვა სფეროს მუშაკები, აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები, აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის წევრები, სტუდენტები, მოსწავლეები, აფხაზეთიდან დევნილი ინტელიგენცია.

ღონისძიებაზე წარმოდგენილ იქნა ლიტერატურული კომპოზიცია „საგალობლები უფლისადმი“. უწმინდესისადმი მიძღვნილი ქართველი პოეტების ლექსები წაიკითხეს: **მარიამ დემურიამ**, **სანდრო ბასარიამ**, **ია**, **გიორგი** და **ელენე შელიებმა** – აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა; მოეწყო აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდა მხატვრის, **მადლენა ბარაბაძის** ნამუშევრების პირველი, პერსონალური გამოფენა ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნა 100-ზე მეტი ნამუშევარი სხვადასხვა ჟანრში – პეიზაჟები, პორტრეტები, ნატურმორტები, ჩანახატები, რელიგიურ თემაზე შექმნილი ნახატები. ძველი თბილისისა და მისი მშობლიური კუთხის – აფხაზეთის თემაზე შექმნილი ფერწერული ტილოები.

ღონისძიების მონაწილეები დალოცეს და უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს იუბილე მიულოცეს: **მანგლისის მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ** და **წალკის ეპისკოპოსმა გრიგოლ კაციამ**; უწმინდესის ღვაწლსა და დამსახურებაზე ისაუბრეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, **გია გვაზავამ** და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილემ, **ბესიკ ოდიშარიამ**, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა.

პროექტის მონაწილეებს მიესალმნენ და ქალბატონ მადლენა ბარაბაძის ექსპოზიცია პროფესიონალის თვალით შეაფასეს საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ, **გურამ ცერცვაძემ** და აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ, **დათო ბაძაღუამ,** აფხაზეთის შემოქმედებითი კავშირის „ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარება“ საკოორდინაციო საბჭოს წევრმა **გიორგი სარჯველაძემ** და სხვა კომპეტენტურმა პირებმა. თავად მხატვარმა კი ამომწურავად უპასუხა პატარა ხელოვანის, მარიამ დემურიას მიერ დასმულ შეკითხვებს.

პროექტის მონაწილე ჩოხოსან რაინდთა ანსამბლის „შავლეგოს“ წევრებმა შეასრულეს პატრიარქის მიერ დაწერილი საგალობლები; აფხაზური და ქართული ხალხური სიმღერები. აფხაზეთი რომ საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიულმა წარსულმა მრავალჯერ დაგვანახა. ასე იყო საუკუნეების მანძილზე და ასე იქნება მომავალშიც. უფლის ნებით და უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით ჩვენს ძირძველ მიწა-წყალზე.

ამ იმედიან ნოტაზე დასრულდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელოვნებო განყოფილების და აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის „ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარება“ ორგანიზებით, აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს მხარდაჭერითა და ხელშეწყობით განხორციელებული თბილი და საინტერესო შემოქმედებითი საღამო, რომლის მასპინძელიც იყო საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი.

ნონა ბერაია
აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს უფროსი სპეციალისტი, პროექტის ავტორი

ახალი ამბები

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტები დაფინანსდებიან

მთავრობის სხდომაზე ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებულ სტუდენტთა დაფინანსების საკითხი განიხილეს. გადაწყდა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სტუდენტების, 2017-2018 სასწავლო წლის, სწავლებას დააფინანსებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, **მიხეილ ჩხენკელის** განმარტებით, სახელმწიფოს მიზანია სტუდენტთა ხელშეწყობა და ფინანსური მხარდაჭერა როგორც საქართველოში სწავლის, ასევე საზღვარგარეთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისთვის.

მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ სტუდენტები, რომელთა ოჯახებმაც, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის გადმოწევის, მავთულხლართების გავლებისა და სხვა ბარიერების აღმართვის შედეგად, ქონებრივი ზიანი მიიღეს და რომლებიც ***ბაკალავრიატის დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ან მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე*** სწავლობენ.

- 2013 წელს, სამინისტროს მიერ 471სტუდენტი დაფინანსდა;
- 2014 წელს – 586;
- 2015 წელს – 736;
- 2016 წელს – 905;
- 2017-18 სასწავლო წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 1000-ზე მეტ სტუდენტს დააფინანსებს.

ახალი ოლიმპიადა უკვე გაჩაღდა

„სასკოლო სპორტული ოლიმპიადა-2017“ ეს-ესაა დამთავრდა, თუმცა უკვე სტარტი აიღო 2018 წლის გათამაშებამ – ათიოდე დღის წინ გახსნის საზეიმო ცერემონიალიც გაიმართა დიღომში მდებარე ოლიმპიურ პარკში. ეს ღონისძიება ჯერ მხოლოდ 4 წელიწადს ითვლის და იქნებ ბევრი რაღაცის უკეთ გაკეთებაც შეიძლება, მაგრამ ფაქტია, რომ, სკოლების დონეზე, ყველაზე მასშტაბური სპორტული ღონისძიებაა, რომელიც ყოველწლიურად ზრდის მასშტაბებს, შედეგად კი მონაწილეთა რაოდენობაც იზრდება – როგორც სკოლების, ასევე მოსწავლეების. მატების ტემპი ახალ ოლიმპიადაზეც იქნება: ამჯერად, მასში ქვეყნის 1700 საჯარო თუ კერძო სკოლის 100 000-ზე მეტი მოსწავლე ჩაებმება.

სასკოლო სპორტულ ოლიმპიადას სასკოლო სპორტის ფედერაცია ატარებს, სხვადასხვა უწყებების მხარდაჭერით. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროა და, იმედია, ამ უწყების კულტურის სამინისტროსთან გაერთიანების შემდეგ, მას ყურადღება არ მოაკლდება. დამაიმედებელი ფაქტია ისიც, რომ ახალი გათამაშების გენერალური სპონსორი VTB ბანკი გახდა. აქვე გეტყვით, რომ გაისად ოლიმპიადის ფინალური ეტაპი, ამ ღონისძიების ისტორიაში პირველად, თბილისში გაიმართება.

სასკოლო ოლიმპიადა ამჯერადაც იმავე ფორმატით ჩატარდება: ჯერ გაიმართება მუნიციპალური შეჯიბრებები, მისი გამარჯვებულები რეგიონულ შეჯიბრებებში გამოვლენ, იქ საუკეთესოები კი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზონალურ პირველობებში იასპარეზებენ და გამოავლენენ გამარჯვებულებს. აი, სწორედ ისინი ითამაშებენ ფინალურ ეტაპში, ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონისა და სპორტის კონკრეტულ სახეობაში მსოფლიოს სასკოლო ჩემპიონატის მონაწილის გამოსავლენად.

ერთ-ერთი ასეთი მუნიციპალიტეტი მარნეულია, სადაც ჩატარდა შიდასარაიონო შეჯიბრებები. ფინალურ ეტაპს სპორტის ხუთ სახეობაში – კალათბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და გეზრბენში სოფელ დიოკნისის საჯარო სკოლამ უმასპინძლა. ფეხბურთში თამარისის საჯარო სკოლის გუნდმა გაიმარჯვა; კალათბურთში გოგონებში პირველობა არავის დაუთმო მარნეულის მე-6, ხოლო ბიჭებში – მე-5 სკოლამ. ფრენბურთელ ბიჭებში – საიმერლოს, ხოლო გოგონებში წერეთლის საჯარო სკოლებმა გაიმარჯვეს; გეზრბენში, ბიჭებშიც და გოგონებშიც, ყველაზე ყოჩაღი თამარისის სკოლა აღმოჩნდა, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში მასპინძელმა – დიოკნისის სკოლამ იპირველა. ამ გუნდებმა ქვემო ქართლის რეგიონულ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.

ხობშიც დამთავრდა მუნიციპალური პირველობა, ოღონდ იქ – მხოლოდ მინი-ფეხბურთში. ფინალურ პაექრობაში ხობის პირველი საჯარო სკოლის გუნდმა მე-2 სკოლას მოუგო და ჩემპიონიც გახდა, მესამეზე კი შუა ხორგას საჯარო სკოლა გავიდა.

14-წლამდელთა დიდი შანსი

ლატვიის ქალაქ ვალმეირასში მიმდინარეობს ევროპის ლიგის პირველი წრის შეხვედრები 14-წლამდელ კალათბურთელთა შორის, რომელშიც წარმატებით გამოდის საქართველოს ნაკრები. მათ მშვენიერი სტარტი აიღეს და, თავდაპირველად, ორი შეხვედრა მოიგეს: ჯერ მასპინძელი „იუგლა“ 75:39 გაანადგურეს, მერე კი პოლონურ „პომერანიას“ 44:34 სძლიეს. **ნოდარ ქორქიასა** და **ირაკლი მაისურაძის** გაწვრთნილებმა მხოლოდ ამის შემდეგ დათმეს მასპინძელთა გუნდთან 48:72, მაგრამ მერე ლიტვურ „პლუნგეს“ 64:54 აჯობეს და მეოთხე პაექრობაც წარმატებით დაასრულეს ლატვიურ „სპარსთან“, რომელიც 80:37 გაანადგურეს. ჩვენები გათამაშების ლიდერთა შორის არიან, მომდევნო ტურის შეხვედრებს კი, 25-28 იანვარს, მინსკში ჩაატარებენ.

ჩვენი ნაკრები პერსპექტიული მოზარდებითაა დაკომპლექტებული, თუმცა მათგან ბევრი პირველად თამაშობდა უცხოეთში. ასეთი ტურნირები მათთვის დიდი სკოლაა.

ისტორია გოტფრიდმა დაგვიწერა

ამერიკულ ანაჰაიმში მიმდინარეობს ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი უფროსებში, სადაც უდიდეს წარმატებას მიაღწია ჩვენი ნაკრების ერთადერთმა ქალმა, 21 წლის **ანასტასია გოტფრიდმა** – 90 კილოგრამში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ქართულ ძალოსნობას მედლები და წარმატებები ნამდვილად არ აკლია, მსოფლიო ჩემპიონებიც გვყოლია და მით უფრო, ოლიმპიურებიც, მაგრამ ეს ყველაფერი ვაჟებში ხდებოდა, ქალებში კი ამ რანგის ტურნირზე მედალოსანი პირველად გვყავს. ამდენად, ანასტასია გოტფრიდმა ისტორიული მედალი მოგვიტანა.

ის ნატურალიზებული სპორტსმენია – რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის წინ უკრაინიდან გადმოიბირეს, როგორც პერსპექტიული სპორტსმენი. მაშინ ასაკითაც პატარა იყო, თუმცა, სწრაფად პროგრესირებდა და ასაკობრივ ნაკრებებში დიდ წარმატებებსაც მიაღწია, არც ერთი ტიტული არ დარჩა მოუპოვებელი. უკვე გადავიდა უფროსებში და პირველი დიდი შედეგიც მოგვიტანა, თუმცა ამაზე რომ არ გაჩერდება, ცხადზე უცხადესია.

ანაჰაიმში გოტფრიდმა, ორჭიდის გარდა, ცალკეულ სახეობებშიც მოიპოვა მედლები. პირველ მოძრაობაში 120-კილოგრამიანი შტანგა აიტაცა და პირველი ოქრო აქ მოიპოვა, აკვრაში კი 145 კილო დააფიქსირა, რაც მეორე შედეგისა და ვერცხლის მომტანი აღმოჩნდა. საბოლოოდ, ჩვენებურმა ორჭიდში 265 კილოგრამი დააგროვა და 10 კილოგრამით გაუსწრო მეორეზე გასულ ჩილელ **მარია ვალდესს**, მესამეზე დომინიკანელი **კრისმერი სანტანა** გავიდა 254-ით.

აქვე შეგახსენებთ, რომ ანაჰაიმში **შოთა მიშველიძემ** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, 6 დეკემბერს კი ფიცარნაგზე ჩვენი გუნდის მთავარი იმედი, ევროპის, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი **ლაშა ტალახაძე** გავა.

მოგება მეზობლებთან

მომავალი საპასუხიმგებლო სტარტებისთვის ემზადებიან საქართველოს ასაკობრივი გუნდები, მათ შორის, 15 და 16-წლამდე ფეხბურთელები, რომლებმაც ამ დღეებში ოთხი შეხვედრა (2-2 მატჩი) გამართეს სომეხ თანატოლებთან და აქედან სამი მოიგეს.

15-წლამდელებმა ორივე პაექრობაში იყოჩაღეს და ჯერ 3:0, მერე კი 1:0 მოიგეს. პირველ შეხვედრაში 16-წლამდელებმა 1:0 იმარჯვეს, მაგრამ მეორე ასეთივე ანგარიშით წააგეს.

მიღწეული წარმატების შემდეგ, 15-წლამდელები, ამ დღეებში, თბილისში, მორიგ საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობენ, რომელშიც ჩვენებთან ერთად თურქეთის, ლიტვისა და ბელარუსის გუნდებიც მონაწილეობენ.

მათგან განსხვავებით, უცხოეთში ემზადება ჩვენი 18-წლამდელთა ნაკრები, რომელიც მინსკშია წასული და იქ ადგილობრივ თანატოლებთან ორ პაექრობას გამართავს. უფრო სწორად, ერთი უკვე ჩაატარეს და ფრესაც გამორჩნენ – 0:0, მეორეს კი ამ დღეებში ითამაშებენ.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

სამაგიდო თამაშების მრავალფეროვანი პაკეტები I–VI კლასებისათვის

წესებიანი, სამაგიდო თამაშების მთავარი ამოცანაა: შეუქმნას ბავშვს პოზიტიური განწყობა სწავლისადმი, ხელი შეუწყოს მოსწავლეების სოციალური და სააზროვნო უნარების განვითარებას. ამ თამაშების დროს თამაშში ჩართულ მოსწავლეებს უწევთ: ანალიზი, მსჯელობა, კატეგორიზაცია/დახარისხება, დაგეგმვა/ორგანიზება, გადაწყვეტა, შედარება, შეფასება/კრიტიკა, რეფლექსია, შექმნა, გამოგონება, აღმოჩენა, თანამშრომლობა, წარმოდგენა/ვარაუდი, წინასწარი შეფასება/წინასწარმეტყველება, წარდგენა/პრეზენტაცია, გამოყენება, გაკეთება, პრაქტიკაში გადმოტანა, განხორციელება. თამაშები ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამების და გამჭოლი კომპეტენციების შესაბამისად არის შექმნილი.

რომელი საათია – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
მხიარული ფრაგმენტების ლოგიკა – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
ჩრდილები – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
მოხატული ცხოველების ამბები – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
სხვადასხვა სიტუაციები – 8 ლარი
(ჯგუფური თამაში);
შეგრძნებები – 8 ლარი;
მხიარული ცისარტყელა – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
მხიარული წილადები – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
დავეხმაროთ რიცხვებს – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
ვითვლი: 10-მდე, 20-მდე, 100-მდე – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
გავუმასპინძლდეთ სტუმრებს – 23 ლარი
(ჯგუფური თამაში, გათვლილია მთელ კლასზე);
ფერადი მოზაიკა – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში).

სასწავლო პროექტები
წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში.

ქართული I-VI კლასები
წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩაატარონ საგნობრივი გამოცდა.

პროფესიული უნარები
დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის



მასწავლებლის სამუშაო რვეული

4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გეგმის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40 ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი 17.70 ლ

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing
ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ტირაჟი დროებით ამოწურულია



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



10 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი
(სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

ქართული ენის გრამატიკა
მორფოლოგია
(სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



10 ლარი

ბიოლოგია (II ნაწილი)
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე,
ქ. მაღრაძე, ღ. ნაზირიშვილი



9 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი,
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. მურღულია

განახლებული გამოცემა

წიგნი I
V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X